154

იანვარი, 1912 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

ჟურნალ „ჯეჯილისა“

I სურათი: აი რამდენი ვარდებია, დედას ულდა ვაჩუქო 1
II ჩივილი შ. მდგომელისა 3
III რას ფიქრობდა ლომი! 6
IV ერთი ნაძვის ნაამბობი თ. თარხნიშვილისა 7
V ტყე და ღელე მეგობარისა 12
VI ერთი ზღარბის თავ-გადასავალი (დასასრული) ნ. ენუქიძისა 13
VII მფარველი ანგელოზი კატო ასათიანისა 18
VIII დაუსრულებელი მოთხრობა ეკ. გაბაშვილისა . . . 23
IX დამალია (გასართობი) ვ. რუხაძესი 25
X რებუსი და ახსნა 27

XI ზამთარი ადგ. ბეგეჭორისა 28
XII ბიძიას ნაამბობი ალ. ნათაძესი 30
XIII როგორ იცავენ თავს ცხოველები მტრისაგან (გაგრძელება) ფ. თ—ძესი 40
XIV პაპა და შვილი-შვილი ეკ. გაბაშვილისა 48
XV დაფი (თარგმანი) ეთერა რაზიკაშვილისა 50
XVI მტკვარი, ჭორობი და რიონი, მგზავრის დღიურიდან ილ. ალხაზიშვილისა 58
XVII ნიკო ლოლობერიძეს ხსოვნას 64

ჯეჯილის 19'2 წ. ხელის მომწერლებს საჩუქრათ დაურიგდებათ
დასურათებული ზღაპარი

ლომ-კაცი

კიპრგი წერეთლისა.

და

ცხელი ქვეყნის ცხოველები

შედგენილი ალ. ჭიჭინაძის მიერ
მორთული სურათებით.

3 17
5538
ეროვნული ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი

ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს

იზარდეთ, მზენი ჯეჯილო,
დაიფრფი, გაბდი ყანაო!..
ი. დ.

იანვარი, 1912

✦ წელიწადი მეოცდასამე ✦

საქართველოს სახელმწიფო
თბილისი
სტამბა

თ ბ ი ლ ი ს ი
ელექტრომმეტდავი „ზრომა“ მუხრანის ქ. № 12.
1 9 1 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი, რამდენი ვარდებია, დედას უნდა ვაჩუქო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩიტი

ერთმა წუწკმა თაგუნიამ
საქმე მეტად გამიჭირა,
იქამდისინ მიმიყვანა
საავკაცოდ ამაღირა.
  თავგასული საქციელით
გამაჯერა, გამაბირა,
იმისთვის სულ ერთი გახდა
საქმის დღე, თუ უქმე-კვირა.
  რასა სნავს, რა უფუჭდება,
რასა ფარცხავს, რასა სთესავს!
ზის თავისთვის არსეინად,
სხვის სარჩოზე კბილს ილესავს!
  ერთნაირად დათარეშობს,
ერთხალისით, ერთ გუნებით,
ამაყობს და თავიც მოაქვს
ღამის რაინდს წრუწუნებით.
  წრუწუნები ღმერთმა მისცეს,
არას ვერჩი იმის შვილებს,
ოღონც თავი დამანებოს
ნუ მცარცვავს და ნუ მაწბილებს...
  შეიქნება შუა ღამე,
დაჭკრავს ნაღარას და ბუკსა,
განჯინას და კიდობანსა
აუყენებს ფხაკა-ფხუკსა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

წრეწუნებიც თან ასლავან,
ასლავ წვრთნის და აბელადებს,
ზოგსა გზავნის ქონისაკენ,
ზოგს უჩვენებს ღორის ქადებს.
ზოგიც კაკლის ხრიალასკენ
სუნ აღებით მიცუცუნებს,
ის კი ცოტა მაღლა არის,
ვერც მისწვდება, ვერც უსუნებს,
რაღა თავი შეგაწუინოთ
ასე მტანჯა მუდამ ღამე,
გადავწუეტე გუნებაში,
უნდა მოვუხერხო რამე.
ვიცოდი არ დამიჭერდა
კატა ვოსოვე მეზობელსა
და კიდევაც მივახწიე
განძრახვასა სასურველსა.
გამობრძანდა ღენერალი
წრეწუნების ამალითა;
მეც გულადათ დავსვდი სტუმრებს
ნათსოვარის წამალითა.
მონადირე კატა ჩუმად
ვაასტე, უშვი ხელი
და მე ხელად ამოვჩულე
იმათი გზა--წასასვლელი.
ატუდა ომი საშინელი,
გაიმართა მწარე ბრძოლა,
რომელსაც კი გაჭრა კბილი
გაგუდა და გადისროლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთიც ალარ გადაურჩა,
ყველა იქვე დაალაგა
და ფანჯრიდამ კნუტებისთვის
სათითაოდ გაალაგა.
ერთმა წუწკმა თაგუნიამ
ისე მომაბეზრა თავი,
რომ სათხოვრად გამისადა
მათი მეფე — მოურავი.

შ. მღვიმელი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

რას ფიქრობდა ლომი!

მე მივუახლოვდი ლომის გალიას. გაზაფხული იდგა. ბუნება ყვავოდა, ჩიტები გასარებულნი იკეთებდენ ბუდეებს.

უდაბნოს მეფე იწვა გალიაში. შორს, შორს გაიყურებოდა. მის თვალებში სევდა და მწუხარება გამოიხატებოდა. იქნება იგონებდა თავის სამშობლოს, დაკარგულ თავისუფლებას.

მის ახლოს დაფრინავდა პატარა ჩიტი. ის იკეთებდა ბუდეს, ჩალა-ბულას დაემებდა, რომ რბილათ ჩაეგო ბუდეში, თბილი ლოგინი დაემზადებინა შვილებისთვის.

ჩიტი თამამათ მიფრინდა გალიასთან და რამოდენიმე ბალანი ლომს ფათიდან გამოაძრო.

ლომი არ გაინძრა, მსოლოთ-ლმობიერათ გადახედა გულად ჩიტუნიას.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ნაძვის ნაამბობი

(ვუძღვნი ნინუცა ერისთავს)

ობის ხემ უთხრა ბავშვებს.

— ბავშვებო, გაახჩუმეთ თქვენი საკრავები, გაახჩერეთ თქვენი სიმღერა და ცეკვა და ეური დამიგდეთ, ჩემ თავგადასავალს გიამბობთ: რა ვიყავი, ვიდრე თქვენ მორთულ მოკაზმულ და ალაპლაპებულ

სათამაშოთ გავხდებოდი. ჩვენ ორნი ნაძვის ძძანი ერთ მთის წვერზედ ვიზრდებოდით, ვსარობდით და ამაყათ გადმოვეურებდით მინდორ-ველს, სოფელს... თოვლი რომ გადნები და ბუნება გაიღვიძებდა, ტყე ამწვანდებოდა, თუმცა მე და ჩემი ძმა ზამთარშიაც ძწვანები ვიყავით, ამას ხომ ახლა თქვენც ხედავთ — ჩვენც ვმხიარულობდით გარშემო რომ სიცოცხლეს ვხედავდით. ჩიტებიც, ტყის გამამხიარულებელნი, თბილ ქვეყნებიდან ჩვენსკენ მოეშურებოდენ, ჟავილ-ხივილით თავს დაგვტრიალებდენ. ყვავილების სუნი, გრილი ნიავი და ციური ნამიც არ გვაკლდა და ყველა ამას ადტაცებაში ძოეყვანდით. ადამიანები, ის ტყე და ველის მტრე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიც-კი, ჩვენ გვერდით რომ აივლიდენ იტეოდენ ხოლმე: „დახე ამ ძმებს, რა კარგი ბინა ამოურჩევიათ საცხოვრებლათ, მზეც ახლო აქვთ და დედამიწაც“.

ნუ გგონიათ, რომ განძარტოებით ვიუავით და ქარი გადაგვჩხავდა. არა, ჩემო ჰატარებო, გარშემო სხვა ხეებიც ბლომათ იუვენ; ისინი გვიფარავდენ და გვჰატრონობდენ. გულები გვისკდებოდა ხოლმე, როდესაც კაცი ზოგიერთ ჩვენს მეზობლებს ცულის დაკვრით სიცოცხლეს მოუსპობდა და ურმით, ან თრევით სოფელს ჩაიტანდა. ბუნების მშვენიერებას ვიკვიწუებდით უმეტესად მაშინ, როდესაც მოჭრილი ხის ალაგას სხვა ახალი ხე იწუობდა ზრდა-ხარებას.

მე და ჩემმა ძმამ ამ შიშში და ნეტარებაში გავატარეთ ათი წელიწადი.

ერთხელ, ჰატარ ძალიკვით მორთულ-მოკაზმულ გაზაფხულის დღეს, ურმის ჭრიალი შემოგვესმა. ურემი ჩვენს ახლოს გაჩერდა. კაცმა გამოუშვა ხარები და ურემს გმლათ გამოაბა, მერე ბიჭს უთხრა: „შვილო, გიორგა, ამ ხარებს ეური უგდე, შენც შორს ნუ წახვალ, არ დაიკარგო“. კაცმა წელში გარჭობილი ცული მხარზე გაიდო და ხეებს თვარიელება დაუწუო. ეველა ხეები კანკალმა აგვიტანა; მე და ჩემი ძმა ერთმანეთს მივეკარით. ჩვენ ბედ'ზედ, კაცმა აგვათვარიელ-ჩაგვათვარიელა და დაბლა დაეშვა.

ეველას გულზე მიგვეკო და სიხარულით შრიალი მოვრთეთ.

ბიჭი იქ იუო, მაგრამ იმისი არ გვეშინოდა, ცული არ ჰქონდა.

ბიჭი მოგვიასლოვდა. ის იყო უნდა გაგვეცინა, რომ ჩემი ძმა მთელის ტანით შეტოკდა და კიბეზეც დაიკივლა. მივისედე, ჩემ ძმას ერთი მკლავი ჩამოთლილი ჰქონდა... ამის დანახვაზე მეც ყოველ ტოტებმა ტკივილი დამიწყეს. ჩემს ძმას ჭრილობიდან თეთრი სისხლი გადმოსჩქებდა.

ის იყო წალდი, რომელიც ჰურის ჰარკში ჰქონდა, გიორგის ჩემთვისაც უნდა ჩაეკრა, რომ მამა თავს წამოადგა და შეჰყვირა: „შე რეგვენო, ნაძვის მოჭრა როგორ იქნება! ეგ ხომ შობის ხეთ არის კარგი! ჩვენ ვერ მივხვდით რა იყო შობის ხე, მხოლოდ ის რომ უთხრა ნაძვის მოჭრა როგორ იქნებაო, მე და ჩემმა ძმამ დიდი სიყვარული და ჰატივისცემა ვიგრძენით იმ კაცისადმი. ათრთოლებული გული დავიმშვიდეთ და ჩემი ძმა ღმერთს მადლობასა სწირავდა, რომ მარტო ტოტი დაჰკარგა და სრულიად მოსპობას გადურჩა.

იმ იმედით რომ ჩვენი მოჭრა არ შეიძლება, რომ ჩვენი მოჭრა სირეგვნეა, დამშვიდებულები ვსარობდით ქრისტეშობისთვემდის.

ამ თვის მიწურულ რაცხვებში კი, როცა თოვლი მუსლამდის იდო და ჩვენც თოვლით დატვირთულები ვიუავით, ის კაცი ცულით სელში ისევ თავს წამოგვადგა. თოვლი გაგვაურეინა და სელით შინჯვა დაგვიწყო. თქვენ თითონ მიხვდით, უმაწვილებო, თუ რა დღეში ვიქნებოდით მე და ჩემი ძმა!

გავშრით, გავშეშდით, აღარ ვსუნთქავდით. კაცმა თავისთვის წაილაპარაკა: „ი ლაწირაკმა ეს მეორე ხე რად დააძახინჯა!“. ამ სიტყვებზე ჩვენ ისევ გუ-

ლი მოგვეცა: თუ დამახინჯება შეინახეს, ვიფიქრეთ, არც მოგვჭრიანო. გავცოცხლდით, ერთმანეთის გადასვეას ვაპირებდით, რომ უცებ ცულმა გაიპრიალა და ჩემ მეხლში კი ჩახვანი მოიღო. ჯერ გონს ვერ მოვსულიყავ, ცულმა მეორეთაც იელვა და ჩემს ძმას მოვშორდი, გვერდით დავეცი... თუ მე გაზაფხულზე ჩემი ძმის ტოტის მოჭრაზე შევწუხდი, უთუოთ ჩემს მოკვეთას ისიც იგრძნობდა, მაგრამ მე კი ველარა შევიტეე-რა, რადგან იმ ჩემმა მტანჯველმა ძმას მოშაშორა და თრევით ძირს ჩამიტანა. იქ ჩემ ტოლ, ჩემებრ მოჭრილ ნაძვებზე დაძაგდო. ჩემს შემდეგ კიდევ ოთხი-ხუთი ნაძვი მოათრია, ყველანი ურემზე შეგვეარა და შარა-გზას გაგვიყენა.

მთელ ურემ ნაძვს ერთი ჩოჩქოლი და აურ-ზაური გვიდგა, მაგრამ რას გავხდებოდით! ვის რას გავაგონებდით, ან სად გავიქცეოდით, როდესაც ურემზე ძაგრა წნელით ჩაბოჭილები ვიუავით.

ჯერ სოფელს ჩაგვატარეს. გოგო-ბიჭები თავს დაგვესვივენ და ეკირობდენ: რა მწვანეები არიან, რა კარგები! შარშან რომ ბატონიანთ შობის ხე ჰქონდათ—სწორეთ ასეთი იყო, არა გიგო?! კიდევ ვერ გავიგე თუ რას ნიშნავდა „შობის ხე“.

მერმე ქალაქს ჩაგვარაზრაზეს, სადაც აუარებელი ხალხი დაგვესვია თავს და ჩვენს ჰატრონს შეეაჯრენ. ზოგი სიდიდით გვიწუხებდენ, ზოგი სიჰატარავით. დღემდის ვერ გამეგო: ზოგს დიდათ რათ ვეჩვენებოდი და ზოგს ჰატარათ. იმ დღეს ჰატრონმა ვერ გამეიდა. სალამოი ჩვენს გვერდით აიარეს ღარიბაი

ჩაცმულმა მამა-შვილმა. შვილი შეეკითხა: „მამი, ამ-
დენი მწვანე ხეები რათ მოუტანიათ?“—ესლა შვი-
ლო,—უთხრა მამამ.—ყველა შეძლებული საშობაოთ
თავის ბავშვებს შობის ხეს უმართავს.

მე სძენად გადავიქეცი, მინდოდა გამეგო, რა იყო
შობის ხე. შვილმაც სწორეთ ესა ჰკითხა:

— რა არის შობის ხე?

— აი, შვილო, შობის ღამეს ამ ხეს დასდგამენ
შუა ოთახში, ხედ ჩამოჰკიდებენ ათას გვარ სათამა-
შოებს, ჭეგვრიალებს, ხილეულობას, თავში ვარსკვ-
ლავს გაუკეთებენ, რადგან, ვარსკვლავმა უჩვენა გზა
მწყემსებს ახალ დაბადებულ ქრისტესთან, სანთლებით
გააჩაღებენ, გარშემო ბავშვები შეიკრებიან, იმღე-
რიან, იცეკვენ, ბოლოს ხეს წააქცევენ და რაც ხედ
იქნება გაკეთებული, სულ ბავშვები გაინაწილებენ.

ესა სთქვეს და გაიარეს.

ესლა, როდესაც მე აჭრჭვინებული და აჭრია-
ლებული ვარ, ვიცი რომ მეც წამაქცევთ და თქვენს
უმანკო გულებსა ვთხოვ, შეიბრალეთ და ძალიან ნუ
გამწიწკნით. ვიცი რომ უფესვოთ დიდხანს არ ვა-
ცოცხლებ, მაგრამ მაინც ნუ მაწამებთ. ცოტა სანს
თავი დამავიწყებინეთ... თქვენი ჟივილ-ხივილი იმ
ფრინველებს შევადარე, რომლებიც ხაფხულში თავს
გვეხვევნენ და არაფერს გვიშავებდენ. თქვენც ვაედა-
რეთ იმათ. ნეტაი ჩემს ძმას! გაზაფხულზე იმას ისევ
გაახარებენ ფრინველები, როდესაც ჩემი ჩხირის ნა-
სახიც არსად იქნება. ნეტავი მეც იმ გიორგა ბიჭს
დავემახინჯებინე და ძმასა და ტეეს არ მოვშორე-
ბოდი!

თ. თარხნიშვილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტეე და ღელე.

მხიარული დუდუნით ღელე მოჩუხჩუხებდა დაბურულ ტეეში. ღელეს მხოლოთ ის აჯავრებდა, რომ ტეეში ბნელოდა.

—რას მიკეთებს აქ ეს საძაგელი ტეე ბუტბუტებდა ღელე—ვის რათ ესაჭიროება? რათ მიფარავს ცას და მზეს? რათ არ მაკარებს მზის სხივებს, ქარს? რა კარგი იქნებოდა, რომ ვისმე კაეკაფა ეს ტეე.

ხეებს ესმოდათ ოოველისფერი და ჰასუხათ შრიალებდენ: „შენ რომ იცოდე რაშია საქმე, არ დაგვემდურებოდი: ჩვენ რომ არ გჩრდილავდეთ, მზე და ქარი გაგაშრობდათ. უჩრდილოთ შენზე დიდი მდინარეებიც-კი გამშრალან“.

ღელემ ხეებს არ დაუჯერა.

ერთხელ გლეხები მოვიდენ ცულებით, წალდებით, აჩეხეს ტეე, დახნეს ძიწები.

ღელე დარჩა უჩრდილოთ და მზის ძწვავე სხივებმა და მძაფრმა ქარმა ძალე გააშრეს.

მეგობარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთი ზღარბის თავგადასავალი.

(დასასრული)

ეიმდეგ ზღარბმა მოათრია დედოფალას ბალიში, სიბანი, ბოლოს თვით დედოფალაც. ეველა ამას ერთ კუთხეში აწყობდა და აჩქარებით გარბოდა, ეძებდა სხვა და სხვა ადგილებში, რომ კიდევ რამე მოეტანა თავის ბუნაგისთვის. აქვე მოსვდა ჰალიკოს რვეულიც. უეცრად ზღარბი გაჭერა დიდის ხნით, და ეველანი ცნობისმოეარეობით ელოდენ, რას მოათრევდა იგი. რანაირათ განცვიფრდა დიდედა და რა მსიარული ხითხითი ასტედა სასადილო ოთახში, როდესაც ზღარბი ბორძიკობით მოათრევდა ბებრის მორთულ „ჩეჰეცს“.

დიდედა ძლიერ განრისხდა ზღარბზე, დაუოვნებლივ უნდოდა გადაეგდო ეს გამოუსადეგარი მჩხვლეტავი ცხოველი, და მხოლოთ ბავშვების თხოვნამ დაამშვიდა მოხუცებული. „ჩეჰეცი“ მაშინვე დაუბრუნეს მას, მაგრამ დიდედამ იპოვნა ურიცხვი ჭუჭრუტანები, თუმცა სხვას არავის არ უნახავს ის ნაჩხვლეტები.

მართალია ზღარბი ასეთის მზრუნველობით და ბეჯითობით აშენებდა თავის ბუნაგს, მაგრამ ერთხელ არ უსარგებლნია ამ ბუნაგით.

ნატომ აჭკრიფა იქიდან დედოფალას რამეები და რადგანაც ეშინოდა, რომ ზღარბი კიდევ იპოვნისო, თავის დედოფლები მოათავსა ფანჯარაზე, სადაც არ შეეძლო ასვლა ზღარბს. ის ახლა აღარ ფანტავდა თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის ლენტებს, ცხვირსახოცებს, საუელოებს, არამედ წესიერათ ინასავდა ბატარა კამოდში.

— ნატო, შენ ხომ ზღარბმა მიგაჩვია წესიერებას, იმის მადლობელი უნდა ვიყოთ, — ეუბნებოდა დედა.

ზღარბი არც მაგრე შეწუხებულა ბუნაგის მოშლისათვის, ის განაგრძობდა თაგვების და შავი ჭიების მუსვრას, თავისუფალ დროს კი თავის კალათაში იჯდა.

უეცრად შუა-ზამთარში ზღარბი დაიკარგა. ბავშვებმა ტირილი მორთეს. ზღარბი ეძებეს, ეძებეს, — მაგრამ არსად იყო. გადააქოთეს ყველა კუთხეები, დაათვალიერეს შკაფ-ქვეშაც, — არსად არ იყო ზღარბი.

ნატო და ბალიკო დიდხანს ებაასებოდენ ერთმანეთს, ბჭობდენ და ცხარედ კამათობდენ.

ნატო ამბობდა, რომ უთუოდ ბრასკოვიამ გააგდო ზღარბიო, ბალიკო-კი დაჟინებით გაიმახოდა, დიდედა იქმოდა ამასო, რომელსაც ვერ დაევიწყნა თავისი „ჩეჩეცის“ მოტაცება.

— უეჭველია, დიდედა გადააგდებდა ზღარბს ფანჯრიდან, და საბრალო ბუმბი ახლა გაიყინა! ტირილით ამბობდენ ბავშვები.

— ბრასკოვია, უთუოდ შენ გააგდებდი ზღარბს! ნულარას იტყვი, შენ იქნებოდი, ვიცით ჩვენ! სცდიდენ ბავშვები.

— არა ღმერთმანი, არ კამიგდია! ეფიცებოდა ბრასკოვია.

— არა, შენ იქნებოდი შენ, ჩვენ არ დაგიჯე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებთ. შენ მუდამ ბურტეუნებდი მასზე, რომ ბევრსა სჯამსო და იატაკს აჭუჭეიანებსო, დაგავიწყდა-კი, როგორ გადასჭამა შენი შავი ჭიები?

— რომელი ჩემი შავი ჭიები? ჰკვირობდა ბრასკოვია: შავი ჭიები ისევეა ჩემები, როგორც თქვენები, ხლარბი-კი მე არ გამიგდია, ღმერთია მოწამე.

— მაშ, დიდედა იქნებოდა! დაბეჯითებით წარმოსთქვა ბალიკომ, თუმცა დიდედას ვერ გაუბედავდა ამის თქმას, და მხოლოდ თვალს ადევნებდა ბებერს, რომლის ეოფა-ქცევაც ძრიელ საეჭვო იეო.

დიდედაც თითქოს რაღაცას დაეძებდა. ერთხელ მან აიღო საჩხრეკი და დიდხანს ურევდა მღვიმელში. ბავშვებმა გადასწვიტეს, რომ დიდედა იქ შეაგდებდა ხლარბსაო.

ნამდვილად-კი ბებერი ეველგან ეძებდა ხლარბს, რადგანაც მის ოთახში ისევ გაჩნდა თაგვები შკაფს უკან : დღე და ღამ ისმოდა იქ საეჭვო ფაჩუნი, თითქოს ვიღაცა აფსაჭუნებდა შბალიერებზე.

მაშ სად იეო ჩვენი მეგობარი ,,შეუბოვარი''? სად გადიკარგა იგი? სად ატარებდა დღე და ღამეს.

მთელ კვირას დიდედას ესმოდა თაგვების ფხაკუნი, ბოლოს ვეღარ მოითმინა და უბრძანა გამოეწიათ კედლიდან შკაფი, რომ დაეცოთ რამე თაგვის სორბოსთვის.

გამოსწიეს შკაფი და როგორი იეო მათი აღელვება და გაკვირვება, როდესაც შკაფს იქით ხლარბი იბოვნეს. მაგრამ რა საშინელ ეოფაში იეო უბედური ხლარბი! იგი მუცლით დაკიდულიეო ლურს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანზე. ის ეტუობოდა შემძვრალიყო შკაფსა და კედლის შუა თაგვის დასაჭერად და აი აქ მოსვლოდა უბედურობა. მას რომ ხმა ჰქონოდა დაიყვირებდა, დაიჩხავლებდა, მაგრამ მისი ხმა სუსტი იყო, მარტო შვალიერს აფხაჭუნებდა ფეხებით. ეს მოძრაობა მიიღო დიდედამ თაგვის ფხაკუნათ.

ფრთხილათ ჩამოხსნეს ბუმბი ლურსმნიდან, გაუბანეს ჭრილობა და აჭამეს. ბუმბი ძალზედ გამხდარიყო უჭმელობისაგან; სამაგიეროთ როგორ მივარდა რძეს და ჰურს! იღბალზე სამზარეულოში კიდევ გამოჩდენ შავი ჭიები, ესარგებლათ ზღარბის არ ეოფნით, ზღარბსაც ეს ეჭირვებოდა: ხორცეულის ჭამამ მოაღონიერა მისი გამეალ-ტეავებული სხეული.

ჩვენმა ზღარბმა ხუთი წელიწადი იცხოვრა ამ ოჯახში, სადაც ემსახურებოდა მათ ერთგულათ და სიმართლით.

ქება-დიდება ზღარბზე, როგორც თაგვების და შავი ჭიების გამწყვეტზე, მთელ ჰატარა ქალაქში გავარდა, სადაც სცხოვრობდა ეს ზღარბი. ხშირათ მოდიოდენ ჩვენს ოჯახში ნაცნობი მხრუნავი დიასახლისები და სთხოვდენ ზღარბს, ერთის კვირით მაინც, რომ თაგვები და შავი ჭიები მოესპო. ზღარბს რბილ კალათაში სვამდენ, და ამნაირ ეტლით დაბრძანდებოდა იგი სახლიდან სახლში.

ზღარბს ძრიელ უყვარდა ამგვარი მოგზაურობა, რადგანაც ნადირობდა ხოლმე, მაგრამ მაინც ეოველთვის სიამოვნებით ბრუნდებოდა სახლში, სადაც ეოველი კუთხე მისი ნაცნობი იყო, თვითოეული სახე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითოეული ხმა მისთვის საუვარელი და ძვირფასი იყო. მართალია სახლში დიდი ხანია აღარ იუვენ აღარც თაგვები და აღარც შავი ჭიები, მაგრამ სამაგიეროთ ხშირათ უმასპინძლდებოდენ ტკბილი სასმელით, კვებავდენ რძით და გემრიელ ნამცხვარით.

არავის არ უნახავს ზღარბის სიკვდილი. ერთხელ ზამთარში ზღარბი მღვიძელის ქვეშ შემვრა და იქ განუტევა სული. მისი გამხმარი ეკლიანი სხეული იპოვნეს მხოლოთ აღდგომის წინა ღღეს, როდესაც ალაგებდენ სახლს უქმეებისათვის.

ნინო ენუქიძე.

(თარგმანი)



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მფარველი ანგელოზი.

ერმანიის, მდინარე რეინის ნაპირის ერთი სოფლის მოხუცნი მოგვითხრობენ შემდეგ ჰატარა ამბავს, რომელიც მომხდარა საფრანგეთის სახელოვან სარდალ მეფის ნაპოლეონი პირველის დროს, როდესაც იგი თავის ძლევამოსილი ჯარით გერმანიას შესევია.

„ერთ ჰატარა სოფელში ცხოვრობდენ მოხუცებული ცოლ-ქმარი. ამათ ჰყავდათ ხუთი, ერთი მეორეზე უკეთესი ვაჟკაცი შვილები. მთელი ოჯახის კეთილ დღეობა ამათ მარჯვენაზე იყო დამყარებული.

მაგრამ, როდესაც იმათი საყვარელი სამშობლო ჩავარდა საშინელ განსაცდელში და მათ მამულს შავი ნისლი გადაეფარა, ამ ვაჟ-კაცებმა, ხუთივემ, აიღეს ხელში იარაღი და გავიდენ ფრანგების წინააღმდეგ. შედეგი ის იყო, რომ ხუთივემ, სამშობლოს დასაცველათ, ბრძოლის ველზე გმირულად თავი შეაკლეს.

მოხუცებულებს ერთად-ერთი ნუგეში დარჩათ — ჰატარა შვილი-შვილი ანნა-მარიამ. ბავშვსაც ძალიან უყვარდა თავისი ჰაპა და ბებია.

ერთხელ, როცა ბებია სადილს ამზადებდა, შვილი-შვილმა შეირბინა სამზარეულოში და შეშინებული ხმით უთხრა ბებიას:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბები, სოფელში ამბობენ ფრანგები მოდიანო, ჩვენგან თურმე სულ ახლოს არიანო, ჩვენი მეზობელი რიხტერი ყველას ურჩევს „გაიხიზნეთო, თორემ მტერი არა თუ ყველაფერს ანადგურებს—ხალხსაც ხოცავსო“.

ბებიამ ქვითინი ამოუშვა:—რაც მე იმათ უბედურება მომაყენეს განა ის არა კმარა! ხუთი შვილი მათ შევწირე და ახლა ჭერიც უნდა გამინადგურონ! მაგრამ რას გავაწყობთ, ჩვენ უბედურნი!

მოხუცებულებმა რაც ძვირფასი რამ ეგულებოდათ ოჯახში, ყველაფერი ჩაალაგეს და გასახიზნათ გაეშზადენ.

ჰატარა გოგონა, შვილი-შვილი, შველოდა და თან ეფიქრობდა:

— როგორ ავაცდინო უბედურება ჩვენებს და ჩვენი თავ-შესაფარი როგორ დავიცვა!

ანნას საჩქაროდ თავში ელვასავით გაურბინა რაღაც აზრმა. აიღო ორი ნაკუწი ქაღალდი და სათითოდ დასწერა შემდეგი: „ბატონო მსედარნო! მე ანნა-მარიამ ვახტერი გასლავართ, ჯერ ცხრა წლისა არ ვიქნები, ჩემ საყვარელ ჰაჰა—ბებიასთან ვცხოვრობ, ძალიან მიყვარან, რადგან კეთილი ადამიანები არიან. გესვეწებით მამაცნო მსედარნო, ნუ დასწვამთ, ნუ გაანადგურებთ ამ ჩვენ საწყალ ქოხს. იქნება თქვენც ჩემისთანა ჰიტარა შვილი-შვილი გყავდეთ, და მის ჰაჰა და ბებიას უბედურებას ნუ მიაყენებთ. შეგვიბრალეთ! ჩვენს საკუჭნაოში არის ცოტა სანოვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გე. მეტს დაგიტოვებდით, მაგრამ მაგაზე მეტი ჩვენც არა გვქონდა“.

„ქვენი მორჩილი ანნა-მარიამ ვასტერი.

ახლა გოგონას საფიქრებელი გაუხდა, თუ როგორ მიაწოდოს ჯარის-კაცებს ეს წერილი.

როდესაც მეზობლებთან ერთად ესენიც გაუდგენ გზას ჰატარა ანნამ უთხრა ბებიას:

— საქათმეში ბატები დაგვავიწყდა. წავალ, გამოვუშვებ, ტეისკენ გავრეკავ, იქნება მტრის თვალს ასცდენ. მე ისევ მალე დაგეწევითო.

ანნამ იცოდა კარგათ გზა და ბებიამ არ დაუშალა.

ის ერთ წამს მივარდა სახლში, ბატები გამოუშვა საქათმიდან და მახლობელ ტეისაკენ გარეკა. მერე ამოიღო ჯიბიდან თავის დაწერილი ორი ბარათი. ერთი შესავალ კარების კლიტეს შეაბა, მეორე საშზარეულოს და საჩქაროთ გაეშურა გახიზნულებისაკენ.

სალამოზე სოფელში შევიდა ფრანგების ჯარი.

ვასტერის სახლი ყველაზე მარჯვე ადგილას იდგა და ჯარის უფროსმა თავის სადგომათ ამოირჩია. ის იყო აპირებდა სახლში შესვლას, რომ კლიტეზე მიბმული ბარათი დაინახა. მაშინვე მოხსნა და წაიკითხა:—რა საყვარელი ბავშვი ყოფილა!—წამოიძახა ჯარის უფროსმა—განა ჩვენ ისეთი გულ-ქვანნი ვიქნებით, რომ გაუნადგუროთ ბინა. შენ არა სცდები ჰატარა ანგელოზო, რომ ჩვენს სულ-გრძელობას მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვმართე. მსედარი ეაჩალი ხომ არ არი—ის ეოველ-თვის ჰატიოსანი და თავაზიანია.

მან მაშინვე დაიბარა თავისი ხელ-ქვევითნი და უბრძანა სასტიკათ აეკრძალათ ჯარის-კაცებისთვის სოფლის ცარცვა და განადგურება. ჯარი დაემორჩილა, მაგრამ სიმშილის გამო უნდა სანოვაგით ესარგებლათ და რაც კი შინაური ჰირუტეეი ჩაიგდეს—ეველა ვახშმათ შეჭამეს. ამ შავ ბედს ვერც ვასტერის ბატები ასცდენ, რომელნიც ჩვეულებისამებრ საღამოზე თავიანთ ბინაზე დაბრუნდენ. მხოლოთ ერთი მამალი ბატი უფროსის ბრძანებით გადარჩა დაკვლას. მეორე დილას ფრანგები გავიდენ სოფლიდან. თავზარ-დაცემულმა სოფლელებმაც გაბედეს შინ დაბრუნება. ეველა შეწუხებული გაიეურებოდა თავის ბინისკენ, დარწმუნებულნი, რომ ოჯახი ათხრებული დაუხვდებოდათ. ძნელი წარმოსადგენია თუ როგორ გაუკვირდათ სოფლელებს, როდესაც თავიანთი ბინა ხელ-უსლებელი დაინახეს. არც ბოსტნისთვის, არც ეანებისთვის და არც სახლის ავეჯეულობისთვის მტერს ხელი არ ეხლო.

ანნა-მარიამის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, სმას არ იღებდა, მაგრამ გულში ლოცვა-ვედრებას უძღვნიდა ღმერთს, რომ მან ჩააგონა ამისთანა აზრი და ეველა განსაცდელს აეცდინა.

ემაწვილი შეეიდა თუ არა ეზოში—დაინახა საქათმის კარებთან აბუზული მამალი ბატი, რომელსაც ეელზე ჰქონდა შებმული ფულის ქისა და ბარათი. მან საჩქაროთ სიხარულით გადიკითხა: „ძვირფასო ბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარა ქალო, ანნა-ძარიამ! გიძღვნით ჩვენ გულითად სალამს. ბოდიშს ვიხდით, რომ ვისარგებლეთ შენის ბატებით და სამაგიეროს გიხდით ფულით". შემდეგ ბარათს ხელს აწერდენ ჯარის უფროსი და მისი თანაშემწენი.

ემაწვილი აღტაცებული გაიქცა მოხუცებულებთან:

— ბაბა, ბებია! დაიჭვით ქისა, ბარათი.

მეზობლები განცვიფრებით უყურებდენ და ვერ გაეგოთ რაში იყო საქმე. ანნა იძულებული იყო გამოტეხილიყო და ყველაფერი აესხნა.

ყველა განცვიფრებულნი გარს შემოესვია და უზომო სიხარულით თვალ-ცრემლიანებმა შესძახეს:

„შენ ჩვენი მფარველი ანგელოზი ხარ, ანნავ!

მას შემდეგ მთელი სოფელი ეძახოდა მას „მფარველ ანგელოზს".

კატო. ბსათიანი.

(თარგმანი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუსრულებელი მოთხრობა

(ფრანგულიდან)

აღდადში სცხოვრობდა ერთი დიდებული ხალიფი, რომელსაც ძრიელ უყვარდა ზღაპრების მოსმენა.

ერთხელ ხალიფამ ბრძანება გასცა: ვინც იმისთანა ამბავს მიამბობს, რომელიც დაუსრულებელი იქნება, ჩემს მშვენიერ ქალს მივცემ ცოლათაო.

მსურველნი მრავალი აღმოჩნდნენ, მაგრამ აღმსრულებელნი-კი ამ უცნაურის მოთხოვნილებისა, ვერავინ და ულმობელი ხალიფი ყველას თავებსა ჭკვეთდა.

ბოლოს ერთი ასალი მოამბე აღმოჩნდა და ამგვარად დაიწყო: „იყო ერთი დიდი მეფე, რომელსაც ბიმშილობისა ძრიელ ეშინოდა და რომელმაც ერთი უშველებელი, მთის ოდენა ამბარი ააგო. და შიგ ხორცის უმრავლესი ხორბალი შეაგროვა. ჰაერის სამუშაოდ მეფეს ამბარს მხოლოდ პატარა ჭუჭრუტანა დაუტოვა.

გაუწერა ღმერთი იმ მხარეს და აუარებელი კალია გაუჩინა. მოვიდა აუარებელი ღვთის რისხვა და ცა და ჰაერი მთლად დააბნელა.

ერთმა კალიამ მიაგნო ამბრის ჭუჭრუტანას და

ერთი მარცვალი წაიღო, მეორე კალიამ მეორე მარ-
ცვალი წაიღო, მესამემ მესამე მარცვალი წაიღო, მე-
ოთხემ მეოთხე მარცვალი წაიღო, მეხუთემ მეხუთე,
მეექვსემ მეექვსე მარცვალი წაიღო, მეშვიდემ მეშვი-
დე, მერვემ მერვე მარცვალი წაიღო...

— მერე? მერე რა მოხდა, კალიებმა მთლად ხორ-
ბალი გაიტანეს, ამბარი დაცარიელეს? — მოუთმენ-
ლად შეეკითხა ხალიფი მთხრობელს.

— ოჰ, თვითმბურობელო, — შეჰკვირა მოამბემ —
ჩვენ ჯერ არ ვიცით რა მოხდა, უნდა მივუგეთ მო-
თხრობის ბოლოს — და განაგრძო: მოვიდა მეცხრე კა-
ლია და ხორბალი წაიღო, მოვიდა მეათე კალია და
ხორბალი გაიტანა, მოვიდა მეთერთმეტე და ხორბა-
ლი გაიტანა, მოვიდა მეთორმეტე კალია და ხორბა-
ლი გაიტანა...

ამბობენ სამ კვირას ასე უამბობდა ხალიფის ქა-
ლის მოტრფიალე თავის მეუფეს და ისიც გაგიჟებუ-
ლი და მოქანცული დასთანხმდა და ქალი მიათხოვა*).

ეკ. გაბაშვილისა.

---

*) ქართველებშიაც არის ამისთანა თქმულობა, მხოლოდ ამ
განსხვავებით: ბატონმა ემას უთხრა ზღაპარი მითხარიო და კი არ
გაათავოო.

ემამაც დაიწყო: „სადილი და ვახშამი დაუსრულებელი ზღაპა-
რი“. სადილი და ვახშამი დაუსრულებელი ზღაპარი, სადილი და
ვახშამი დაუსრულებელი ზღაპარი“ ო.

და იმდენჯერ გაიმეორა, მანამ ბატონს თავი არ მოაბეზრა და
ემობიდგან არ გაანთავისუფლა. ეკ. გ—სა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გასართობი.

დამალია.

ვალ წინ წარმოგვიდგება ბალი, მის ირგვლივ ბუჩქ ევავილებია ლამაზათ გადაფურჩქნული, შუაში მწვანე ბოლია, სადაც თავი მოუურიათ ბავშვებს და სათამაშოთ ემზადებიან.

ნ ი ნ ა. მეგობრებო! იცით რა ვქნათ? —
ვითამაშოთ „დამალია“,
რომ გავიგოთ: ვინ ჩანჩალა,
ვინ სწრაფი და ფეხ-მალია.

ყველა ერთხმათ. ვითამაშოთ.

ნ ი ნ ა. მაშ ჯერ „დოდო“
ავირჩიოთ.

ყველა ერთხმათ. შენ იყავი.

ნ ი ნ ა. თანახმა ვარ. მაგრამ ერთს გთხოვთ:
დაიჭირეთ დინჯათ თავი.

ყველა ერთხმათ. პატიოსან სიტყვას გაძლევთ,
უშენოთ ფეხს არ გავანძრევთ.

ნ ი ნ ა. (ჯდება) მაშ დამაწყეთ თითნი მუხლზე
და იყავით წყნარათ, ეუჩეთ,
მე ჩამოვთვლი, ვისაც არ გხვდეთ,
ყველამ თვალნი დაიხუჭეთ.
(ბავშვები შემოეხვევიან დოდოს და ორ-ორ თითს ადებენ მუხლზე. დოდო თვლის).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ ი ნ ა. აწილია,
ბაწილია,
შუძანია,
გვრიტინია,
ალხოს, მალხოს,
ჩიტმა გნახოს,
დაჭკარ ტაში,
გახტენ კარში.

ყველა ერთხმათ. სერგოს ერგო! სერგოს ერგო!

ნ ი ნ ა. მაშ დახუჭეთ სხვებმა თვალი
მანამ, სანამ „გათენდაო“
არ იყივლებს თვით მამალი.
შენ-კი სერგო, რაკი გერგო,
დროზე წადი, დაიმალე.
(ბავშვები თვალებს ხუჭავენ. სერგო ბუჩქებში იმალება).

ს ო ნ ა. არ გათენდა?

ნ ი ნ ა. ჯერე არა,
მაგრამ გათენდება მალე.
(ბავშვებს მოუთმენლობა ეტყობათ. ამ დროს მამალივით დაიყივლებს დამალული. ბავშვები წამოხტებიან).

ნ ი ნ ა. სადაცა ხარ, ფრთხილათ იყავ,
მოდის მწყვარ-მაძებარი!

ყველა ერთხმათ. ვერ წაგვივა, ვერ წაგვივა,
ვიცით, ვიცით სადაც არი'
(ბავშვები ბუჩქებში დაძვრებიან და დაემებენ.

ერთი მათგანი ძაღლივით ჰუეფს. სხვები უსი-
სინებენ).

— არ გაუშვა! ეცი! ეცი!
გამოაგდე მინდვრათ მხეცი!

(ამ დროს გამოხტება დამალული, ბავშვები
დასაჭერათ დაედევნებიან და ატეხდება ერთი
ჟრიამული).

ვ. რუხაძე.

რებუსი

(წარმოდგენილი მოწაფე გ. ავალიშვილისა)





№ XII.

გამოცანები: ასკილი, ფშატი.
აკროსტიხი: აკაკი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამთარი.

ამთარი არის... ღამეა,
ღამე შავ-ბნელი ფრიადი;
გამეფებულა უკუნი,
გამეფებულა წყვდიადი!
ქარი ჰქრის, ქარი საზარი,
მიდამო შეუძრწუნია;
ფრთა გაუშლია სიცივეს,
ცახცახებს მთელი დუნია!
ლომი საზარლად ღრიალებს,
ჭოტი გაჰკივის მწარედა;
საშინელია ეს ღამე,
არ გაისვლების გარედა!
ამ დროს საბრალო ბერუა
ფარაჯით გამოწყობილი,
მიდის მარტოკა ტყე და ტყე
მიდის გულს ლახვარ სობილი!
სურს დიდ ქალაქში იშოვოს
საქმე რამ მომგებიანი, —
რომ დარჩეს ცოტა გროშები
საჭირო—სარგებლიანი!...
სურს გაისტუმროს მით გზირი
და ზოგიც ჩარჩის ვალები: —
რომ გაახაროს მოყვარე,
მტერს დაუყენოს თვალები!

—

საშინელია ეს ღამე,
არ გაისვლების გარეთა, —
მაგრამ მაინც-კი ბერუა
მიდის, მიბობღავს მწარედა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცრემლი სდის, ცრემლი საბრალოს,
გულს არ შორდება ნაღველი!...
და ფიქრობს: — რისთვის ვიტანჯვი? —
ან სასიკეთოს რას ველი?!
ეს ღამე წავა, სხვა მოვა,
მომტანი მრავალ ჭირისა,
ნეტა ვინ არის ამტანი
ამდენი გასაჭირისა?!

ლადო გეგეჭკორი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიძიას ნაამბობი.

(მოთხრობა ბავშვების ცხოვრებიდან)

შინ წასვლა.

Mიბათვის ხუთს, დილა-ადრიანათ, ჩემი ძმა სკოლაში მოვიდა პალიკოსთან ერთათ... მე ჩემს ძმას ყურადღებაც არ მივაქციე — მივარდი პალიკოს, მოვხვიე ხელები და, რომ არ ვიმტყუნო, 5—6 წუთი მაინცა ვკოცნე... სკოლაც და ამხანაგებიც დამავიწყდა მაშინ... ჩემი ფიქრი, ჩემი გონება იმ წუთს ჩემს სოფელ'ში გადავიტანე... თვალ-წინ წარმომიდგენ: დედა, ჩემი ძმები, მეზობლები, ტოლი და ამხანაგი, ჩემი სოფლის არე-მარე, ტყე და ღრე, წყალი და წისქვილი და ყველაფერი. რასაც-კი ჩემზედ, შთაბეჭდილება მოეხდინა, რაც-კი ჩასჭროდა ჩემს ნორჩ გონებას... პალიკო ურმით იყო და ჩემთვის-კი „კვირტა — ცხენი წამოეყვანა. ჩვენთან ერთათ ჩვენი დიაკვნის შვილი, საბა ვეფხვაძე და სხვა მეზობელი ბიჭებიც უნდა წამოსულიყვენ... მე მაშინათვე გამოვემშვიდობე ჩვენს უფროს, ჩემს ამხანაგებს, შევკარი ბარგი და იმ წამსვე გაუდექით გზას... მე აქ არ მოგიყვებით ჩემს მოგზაურობის ამბავს, ჩემს სიხარულს, ჩემს შთაბეჭდილებას, მხოლოთ გეტყვით, რომ ჩემს კვირტას მოხდენილათ შევახტი და სულ ცალ-ცალკე დავდიოდი; მოზრდილი კაცის სახე მივიღე. ბავშური ოცნება ვაჟ-კაცის ფიქრებათ გარდამექცა, გონების სიმებმა სულ სხვა ჰანგზედ დაიწყო წკრიალი და სხვა და სხვა კითხვების ზვირთები მოაწვა მას: სად მივდივარ? რისთვის მივდივარ? რა უნდა გავაკეთო? ვეკითხები ჩემს თავს და გონებას ძალას ვატან ამ კითხვებისა პასუხს. დიდი საოცნებო სურათი გადაიშალა ჩემს წინაშე, ჩემი სამუშაო ასპარეზი გადიდდა, გაფართოვდა, სარკეში ჩამახედა, და დამანახვა ჩემი მოქმედების შედეგი: მთელი სოფელი ჩემი მეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხებით წერა-კითხვის მცოდნეთ წარმომიდგა, მუშაობა და ოფ-ლის ღვრა შეუსუმბუქდათ გლეხებს, ისეთი კვნესა აღარ ის-მის, როგორც წინათ იყო ხოლმე... მახარებს ყველა ეს და ვაჩქარებ ჩემს მერანს ამ აზვირთებული ფიქრების სისრულეში მოსაყვანათ.

მე კარგ მანძილზედ დავშორებულიყავ ჩემს თანამგზავრებს და შეიძლებოდა უფრო დავშორებულიყავი, რომ ჩვენი ნათ-ლიმამა შარმაზანის ძმას არ დავეყენებინე და არ გამოვეყვანე ამ ოცნების ქსელიდან...

— ბიჭო! სანდრო, შენ არა ხარ? რატომ მაგრე თვალი მომარიდე... გზა რათ ამიქციე.

მე შეიკრთი; ოცნების ღრუბელი ჩამომეშო, სინამდვი-ლემ თავისი ადგილი დაიჭირა და მაშინათვე გადავეხვიე შარ-მაზანის ძმას, გამოვკითხე ყველაფერი ჩვენიანების შესახებ, სოფლის ამბავი და ერთს ხის ქვეშ ჩამოვხტით დასასვენებლათ. ურემიც მალე მოგვიახლოვდა... პალიკომ კამეჩები გარეკა სა-ძოვრათ და ჩვენც გაგვიშალა თავისი ხელ-სახოცი და დავი-წყეთ დასაუზმება... დავიწყეთ ბაასი სოფლის ცხოვრებაზე, მის ჭირსა და ვარამზედ... შარმაზანის ძმამ დასამშვიდებელი პასუხი მომცა, მხოლოთ დასამშვიდებელი, რადგანაც არ უნ-დოდა ჩემი ბავშური გული აეღელვებინა, ჩემი სახარული ძიმ-წარეში ამოევლო.. მაგრამ მე ყველაფერს მიუხვდი: მისი სიტყვა-პასუხი ორ ყურიანი იყო, ერთი ჩემთვის იყო ნათქვა-მი, მეორე კი თავის ვითარებასა ჰხატავდა, თავის ჭირ-ვარამს, აუტანელ ტანჯვას, კვნესასა და ჩივილს იმაზედ, რომ ღმერთ-მა მხოლოთ სატანჯველათ გააჩინა გლეხები და ამ ტანჯვი-დან გასანთავისუფლებლათ წინასწარმეტყველი კი არ მოუვ-ლინა... გავიგე ყველა ის და ამანაც გაიგო ჩემი გულის ნა-დები, ჩემი შეწუხება და ორივე დაღონებული გავშორდით ერთმანეთს... პალიკომაც მალე შეაბა საქონელი, მე ისევ ჩემს კვირტას მოვახტი და დავწინაურდი... დასვენებულმა და მკერდ-ამომსილმა კვირტამ ააჩქარა თავისი მოხდენილი ფეხე-ბი და მალე ერთს გორას შეუდექი...

ამ გორაკიდან, როგორც ხელის გულზე, ისე გამოჩნდა სამების მთა და მის გვერდზედ დიდებულათ აძართული „ლოო-წმის“ კლდე, მუდამ ამაყი, მიუკარებელი, შეჭმუხვნილი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისლი ჩამოსწოლოდა მას და ჭაღარა-შერეული კაცივით ფიქრში იყო ჩაფლული... დიდი სურათი გადამიშალა ამან თვალ-წინ: მომაგონა ჩემი ბავშვობა, ჩემი ლხენა, ჩემი ცელქობა ამ მთის ძირში, საიდგანაც, როგორც შეწუხებული ადამიანის თვალებიდან ცრემლი, ისე გადმოჩქეფს ნაკადული და მიილტვის საღლაც შორს, შორს სოფლებისაკენ... გადამეშალა თვალ-წინ ყველა ეს და უფრო გამიძლიერა სიყვარული ჩემი სოფლისა, ჩემი სოფლის არე-მარისა... უცნაური რამ არის ეს სიყვარული—ეს გრძნობა, გაუგებარია, უჩინარი, მაგრამ ნეტარი, ძლიერი!! გულს უღუტუნებს რაღაც, უკვდავების წყაროს უშხაპუნებს ძარღვებს და ძალა-უნებურათ გამეორებინებს პოეტის სიტყვებს:

„არ გავცვლი სალსა კლდეებსა
უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს,
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“.

რა არის? რა ძალაა? რა გაერთებს, რა გაკავშირებს? რა გრძნობაა—ეს გრძნობა? ვფიქრობ ამ კითხვებზედ, მაგრამ ყველაფერი გაუგებარია შენთვის, განყენებული საგანია, მხოლოთა გრძნობ სიყვარულს, ნეტარებას, რაღაც ღვთიურ ძალას, მიუწდომელ ძალას, რომელსაც ემონები და ზნეობითი კავშირით ეკვანძები შენს „სალ კლდეებს“, შენს სოფელს, შენს ქვეყანას, კვნესი მისი ტკივილებით და ნეტარებას ეძლევი მისი ძალა მოსილობით. ამ წუთში მე ყველა ამას ვგრძნობ: მიყვარს ჩემი სოფელი, მისი კლდე-ღრე, მისი ჩაფიქრებული სახე! მიყვარს ჩემი სოფელი და ის გრძნობა მაერთებს, მაკავშირებს ჩემს სამშობლო ქვეყანას... ჩემი სოფელი ხომ ნაწილია ჩემი სამშობლო ქვეყნისა, ჩემი სამშობლო პაწაწინა ნაჭერია მთელი ქვეყნისა და ეს გრძნობა მაერთებს, მასწავლის სხვა ქვეყნების სიყვარულს, სხვა ხალხის სიყვარულს, მის ჭირსა და ვარამს... „თუ შენი ძმა არ გიყვარს, რომელიც ახლოა და ყოველ-ღღე ჰხედავ, განა შეგიძლიან შეიყვარო და იწამო ღმერთი, რომელიც შენზედ შორს არის და უჩინარია შენთვის!“ ტყუილათ კი არა ბრძანა იოანნე ოქროპირმა — „თუ შენი ქვეყანა არ გიყვარს, სადაც შენი ღღენი გაგიტარებია, სადაც ყველაფერსა ჰხედავ, სადაც ბუნებას შეთვისებულხარ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც ყველაფერი შენთვის ნაცნობია, სადაც დარდობ და ლაღობ, განა შეგიძლიან შეიტკბო და შეიყვარო სხვა ქვეყანა, შენთვის ეხილავი და უცნობი“ ამ ფიქრებით დამონავებული მივადექი ჩემ სოფლის გორაკს.. დაბინდებული იყო კიდეც... მზე თეთრს პერანგს იხდიდა და ნელ-ნელა ბინდი აწვებოდა არე-მარეს. კვირტამ ახლა კი უკლო სიარულს და მაინც მალე მიადგა ორ-კაპიან გზას და შესდგა, თითქო ჩემგან ელოდა ბრძანებას—თუ რომელ გზისაკენ წავეყვანე. მომაგონდა რომ მარჯვნივ მოკლე გზა მიდიოდა და მარცხნივ კი უფრო გრძელი, მაგრამ უფრო ეხიფათო... მარჯვენა გზა დაბურულ ტყეს წარმოადგენდა, ბნელსა... საშიშს... გაგონილიცა მქონდა, რომ აქ დაფარეშობენ, „ავი-სულები“: ალები, ქაჯები, მაჯლაჯუნები და სხ.. მომაგონდა ისიც, რომ ამ ალაგას—ხალხის წარმოდგენით—ბევრი ვაჟ-კაცი გაეფუჭებიათ ამ ავ-სულებს და ორმა გრძნობამ—უშიშრობამ და ლაჩრობამ—ბრძოლა დაიწყო... მე ჩემს თავს ძალა დავატანე და ცხენს მარჯვნივ მოვწიე აღვირს.

პირველი ორი ნაბიჯი უშიშარი და ვაჟ-კაცური იყო... მერე კი, როდესაც შევედით ამ დახურულ ტყეში, კვირიტამ რაღაც მოუსვენრობა იგრძნო, ფრუტუნი დაიწყო და მეც ცოტა შიშის ზარმა დამკრა, სისხლის მიმოსვლა თითქო შესდგა, თვალებმაც მხედველობა დაკარგა და ტანმა ცახ-ცახი დაიწყო... ნელ-ნელა გონებას ძალა ეცლებოდა და იქნება გულიც წამსლოდა, ჩემი კვირტა რომ არ მოტრიალებულიყო რაღაც ფაჩი-ფუჩზე და მე უკანვე არ დავებრუნებინე! როგორც იყო სამშვიდობოში გამოვედით... ზურმუხტი ცა, ვარსკვლავებით მოჭედილი, ისევ გაიშალა ჩემს თვალ წინ, ნიავმა დაბერა ჩემს დანაცრიანებულ სახეს და სულ ერთიანათ გამომარკვია... ლაჩრობისა შემრცხვა... გასაკვირალია კაცის ბუნება: თითქო არაფერი მჯეროდა, თითქო ჩემი გონება მომზადებული იყო ცრუ-მორწმუნოებასთან საბრძოლველათ და მე-კი ასეთი ლაჩრობა დამემართა... მართალი ყოფილა ჩვენი უფროსის სიტყვები: „ბავშვის გული—ნაზი, ნორჩი ყვავილია, რაც ბავშობითვე მიეკარება მას, სამუდამოთა რჩება და ამისთვის ეცადენით, რომ ამ გულს კარგი მიმართულობა მისცეთ—

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორწყეთ და მოუარეთ ამ ნორჩს ყვავილს, რომ შემდეგ დასტკბეთ და გაიხაროთ ამ ყვავილის სურნელებითაო“. მომაგონდა ეს სიტყვები, ვონება თავის დონეზედ დადგა, გული საგულეში და ძალა დავატანე ჩემს თავს – კიდევ მეცადნა იქ შესვლა, მაგრამ აღარ დამცალდა, რადგანაც ჩემი პალიკოს ლიღინი მომესმა, ჩვენი ურმის ჭრიალი და მალე ჩვენს კაკლების ქვეშ ამოვყავით თავი, სადაც მთელი სოფლის დედა-კაცები და გოგო-ბიჭები იქ გველოდენ და ერთი ხელიდან მეორე ხელში გადავდიოდი საალერსოთ...

—

ესეც ჩვენი სოფელი!!...

მთელი ერთი კვირა დედის ალერსს მოუნდი... ამის შემდეგ-კი შემოურბინე ჩემი სოფლის არე-მარეს — კუნჭული არ დამიტოვებია უნახავათ... ვინახულე ჩემი მეზობლები, გოგო-ბიჭები, ჩემი ტოლი და ამხანაგები... ყველგან იგივე სურათი, იგივე ცხოვრება გადაიშალა ჩემ თვალ-წინ... მხოლოთ გარეგნობით ჩვენიანებსაც და მეზობლებსაც დასტყობოდათ ცვლილება... დედა-ჩემს მეტი ჭაღარა მორეოდა, წინა კბილებიც დასცვივნოდა და უშლიდა ლაპარაკს... ჩვენი გამდელი ყრუ სალომე ორათ მოკაკულიყო ტანში და ჯოხით ხელში ძლივს-ღა დაფარფატებდა... ჩვენს ნათლიდედა საბედას, შარმაზანის ცოლს, დარდებისაგან სახე დაღმეჭოდა და ლაპარაკის დროს სულ ოხრავდა და კვნესოდა... ჩვენს ბებრუცანა თინათინას თვალთ-დაჭკლებოდა და შვილი-შვილების დახმარებით მიდი-მოდიოდა... თანდილაანთ სოლო, ოდესღაც ვაჟკაცი, მომუშავე, ძარღვიანი, სოფლის ლხინი და სოფლის მოჭირნახულე, ძლივს-ღა დახანხალებდა და კიდევ მაინც გულგაუტეხელი თავის საყვარელ ლექს:

„ბებერო! დაბერებულხარ
არ უკბენია ჭიასა:
საცა შენ დაიმარხები,
ნეტავ იმ ეკლესიასა“!!.

დაღიღინებდა და წამდაუწუმ ოხრავდა და შამამჩიოდა: „ოჰი, დედასა, შვილო!.. როდესღაც ჩემს ტოლებში ცალი არა მყავდა და დღეს-კი ჰხედავ? თანდილაანთ სოლო მძლივს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა დალახლახებს და წალდი რაა—იმის ხმარებასაც-კი ველარ ახერხებს!!... ასეთი ყოფილა ბუნების წესი და ამ წესს ვერავინ გაექცევა... რა ვქნათ, მარტოთ-მარტო მე ხომ არა ვარ ასრე", მითხრა ეს, გულიანათ ამოიოხრა, მოითხოვა ჩონგური, თავისი დასუსტებული თითები ჩამოჰკრა სიმებს, გულსაკლავათ ააჟღერა და თან დასუსტებული ხმით დააღიღინა:

„ბინდის ფერია სოფელი,|
უფრო და უფრო ბინდდება;
კოკასა შინა რაცა სდგას
იგივე წარმოდინდება"!!...

მე სმენათ გადავიქეცი... თუმცა არ მესმოდა ამ ლექსის შინაარსი, მისი სიღრმე და პოეტური მხარე, მაგრამ ინსტიქტურათ მივხვდი, რომ ეს სიმღერა გულის სიღრმიდან იყო ამონაკვნესი, იგი გამომხატველი იყო სოლოს სულიერი მდგომარეობისა, ჩვენი ცხოვრების დუხ-ჭობისა, ხალხის უნუგეშობისა... მე მაშინათვე ამოვიღე ჩემი უბის წიგნი და ჩავწერე ეს შესანიშნავი ლექსი... სოლომ ამის დანახვაზედ ჩონგური გადასდო, ჩიბუხი გაიმართა და ალერსიანათ დამიწყო ცქერა...

— რათ გინდა, შვილო, რომ ეგ ლექსი ჩასწერე? შენ ნასწავლი კაცი ხარ, შენ უფრო კარგები არ გეცოდინება? გლეხური შაირები ვის რათმე გამოადგება! კუჭს ვის გაუძღობს... „სოფლის ბინდს" თეთრათ ვინ შეჰღებავს!! ვისა სცალიან ჩვენთვის... შენ ესა სთქვი: რა ამბავია ქალაქში? რასა ფიქრობენ საცოდავ გლეხებზედ?"

მე ყველაფერი უამბე—ჩემი გაგონილი და ნაგრძნობი გადუშალე წინ; უამბე თუ ნასწავლი კაცები როგორა ფიქრობენ გლეხებზედ, ველაპარაკე სოფლის საჭიროებაზედ, სწავლა-განათლებაზედ... ზეპირათ ლექსებიც უთხარი, მოიწონა... გაიღიმა... ალერსიანათ მიმიკრა გულზედ და მითხრა:

— აი შენ-კი გაიხარე მაგ ლექსებისთვის, მაგრამ, შვილო, განა ეგ ლექსები გლეხს კუჭს ამოუმსებენ? ლექსები, შვილო, გულის ცოცხია: ერთი წუთით მიასუფ-მოასუფთავებს გულის დარბაზს და მერე ისევ ჭირითა და ვარმით ივსება..

მითხრა ეს სიტყვები სოლომ, პასუხიც არ დამაცალა გადასდო იქით თავისი ჩიბუხი, აიღო ისევ ჭირში თანამოზიარე ჩონგური, მომართა სიმები და ისევ გულ-საკლავათ ააჟღერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს უსულო საგანი, ალაპარაკა, გამოაწურვინა გულიდან ბოღმი, გადააშლევინა ბინდით მოცული ცხოვრება, გამიშტერა თავისი მიბნედილი თვალები და დაამღერა ეს სიტყვები:

„შენი ჭირიმე ჭირშია
კარგი ხარ გასაჭირშია:
ყორანიც მოიჩრდილებდა
შენი ულვაშის ძირშია“!

— ბიჭო! ულვაში-კი არსათ გიჩანს, მაგრამ გეტყობა კია, რომ შენი გული ჩვენთვისა სწუხს, კეთილი გინდა ჩვენთვის, ღმერთმა კეთილი მოგცეს შენცა ღა შენ ოსტატებსაც, რომ ასეთი კარგები ჩაუგონებიათ შენთვის... სთქვა ეს, წელში ოდნავ აიმართა და იქვე ახლო დაყრილ ხის ტოტებს დაუწყო წნელებათ გრეხა... მეც არ დაუშალე ჭკვიან სოლომონს მუშაობა და მისი სიტყვებითა და სიმღერით გამხნევებული გამოვედი გარეთ.

—

პატარა ქურდი.

კვირა დღეა... მე დღეს ადრე მომიხდა ადგომა... მშვენიერი დილაა... მზე ჯერ არ დაძრულიყო თავის საბუდრიდან, როდესაც შარმაზანის ძმამ გამომიარა და ამასთან ერთათ წავედი სოფლის კანცელარიაში, სადაც ხალხს თავი უნდა მოეყარა და თავიანთ საქმეზედ ელაპარაკნა... შორიდანვე გაცხარებული ლაპარაკი მოგვესმა... მე სმენათ ვიყავი გადაქცეული, მაგრამ ისეთი ღრიანცელი იდგა, ისეთი მითქმა-მოთქმა და შეჯახება, რომ კაცი ვერაფერს გაიგებდა—თუ რაზე იყო ლაპარაკი... ჩემს მისვლაზედ ყველა შეკრთა, ღრიანცელსაც თითქო ბოლო მოეღო, მაგრამ კანტი-კუნტათ მაინც ლაპარაკი გაისმოდა და ჩემს კენ თვალების ტრიალი და ძახილი: „აგე, ერთი ნასწავლი ახალგაზდა ეგეც არისო“... აღარც ალერსი, აღარც უწინდელი მიგებება... გაშეშებული ვიდექი და ყველაფერი მაკვირვებდა... ყველა მაოცებდა... რა მოხდა? რითი დავიმსახურე ასეთი დახვედრა? ვფიქრობ ამ წუთს და ჭირის ოფლი ჩამომდის, ბოღმი აწვება ჩემს გულს და ენა მიდუნდება—ვკითხო ვასმე საქმის გარემოება, სიმართლე გავითვალისწინო, მაგრამ ყველა მერიდება, ჩემთან არავის არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენდა მოსვლა და ლაპარაკი... შარმაზანის ძმაც-კი, ეს ჩვენ-თვის თავ-დადებული კაციც-კი, ჩამომშორდა და მოლაპარაკე ხალხის ჯგუფს შეუერთდა... ველარ გაუძლო ამ ამბავს ჩემმა გულმა და შინ წასასვლელათ გადავდგი ფეხი, მაგრამ ერთმა გარემოებამ შემაყენა: ორ გზირს დიაკვნის შვილი მოჰყავდა და წინ მამასახლისი ბოუძღოდა მათრახით ხელში... მე ამ გარემოებამ უფრო გამაოცა და გამაკვირა... ჯერ ვერ მიმხვდარიყავი რაში იყო საქმე და უკანვე დავბრუნდი საქმის გამოსარკვევათ. . მე სულ წინ წავედი, მიუახლოვდი დიაკვნის შვილს და ჩემი ცნობის მოყვარული თვალები შევაჩერე მას... იგი გაფითრებული, აკანკალებული იდგა აზვირთებულ ხალხის წინ და თვალი ვერავისთან გაეშტერებინა, სულ ძირს იცქირებოდა... ყველა კანცელარიაში შევიდა და მეც თან შევყე... ოთახი დაუგველი და დაუწმენდავი იყო... აქა-იქა კუთხეებში ობობას გაება ქსელი... ჭერში თაგვების ფხაკა-ფხუკი ისმოდა... შუა.გულ ოთახში დიდი მაგიდა იდგა და გარშემო უსხდენ სოფლის ამორჩეული მსაჯულები, მათ შორის ჩვენი შარმაზანის ძმაც... ამათანვე ახლო სოფლის მწერალი იჯდა და რაღასაცა სწერავდა... დიაკვნის შვილი მსაჯულებმა წამოაყენეს წინ და დაუწყეს გამოკითხვა:

— რა გქვიან შენ?

— საბა, გვარი ვეფხვაძე.

— რამდენი წლისა ხარ?

— თექვსმეტისა!—მორცხვათ უპასუხა საბამ.

— ვისი შვილი ხარ?

— თევდორე დიაკვნისა...

ამ სიტყვებზე წინ წამოდგა თევდორე დიაკვანი და რიხიანი ხმით წამოიძახა:

— ტყუის, ეგ ჩემი შვილი არ არის, მე ქურდი შვილი არა მყავს, ეგ შვილი კი არა, ჩემი დამლუპავია, ჩემი გულის მატლი... მაგას მამა აღარა ჰყავს, დიდი ხანია მაგან ბოლო მოულო თავის მამას...—სთქვა ეს და თვალში ცრემლი მოერია—აბა შემომხედეთ ორმოცი წლის კაცი ასი წლის ბებერს დავგვანებივარ... მაგან დაღრღნა ჩემი გული, დამცალა სისხლისაგან... მე რაღა კაცი ვარ... ის მირჩევნია აქვე ჩამქო-

ლოთ და მაგის სახე კი არ დამანახოთ...—მეტის მეტი ღელვით წარმოსთქვა ეს; ცრემლმა ღაპა-ღუპით დაუწყო დენა მის ჭალარა წვერს და გაიწია შვილისაკენ ჯოხით. ხალხში აურ-ზაური მოხდა... არეულობა... მამასახლისი შუაში ჩაუდგა და განრისხებული დიაკვანი გლეხების შემწეობით გარეთ გამოიყვანა... საბა კი გაქვავებული იდგა, მის პაწაწინა ავაზაკურ თვალებს ზევით ვერ აეხედნა... ხალხი ამის შემდეგ დამშვიდდა და მსაჯულებმა გააგრძელეს თავისი საქმე...

— მარტოკა იყავი საქურდლათ, თუ მოზიარე გყავდა ვინმე?

ამ კითხვასა და პასუხს შორის ხანმა გაიარა... ჯერ ვერა ჰბედავდა ეპასუხნა რამე... მერე კი თვალები ჩემკენ გამოაშტერა და უპასუხა:

— აი, ეგ მღვდლის შვილი იყო ჩემთან... მაგან შემაცდინა... მაგან მიმიყვანა მამუკაანთ სახლში საქურდლათა...

ამ სიტყვებზედ ხალხმა სულ წინ წამოიწია... ყველა სმენად გადაიქცა... მე კი სულ მთლათ ამაცახცახა ამ მოულოდნელმა ბრალდებამ, ენა მუცელში ჩამივარდა, ფეხები მომეკვეცა და წავბარბაცდი წასაქცევათ, მაგრამ იქვე ახლო მყოფმა ჩვენმა მეზობლებმა დამიჭირეს და სკამზედ დამსვეს... მე აქაც ვერ მოვისვენე, მოვიკრიფე ძალა და იქვე მდგომ მოხუცებულ სოლოს ჩამოვეკვანწიელე კისერზე და ხმა-მაღლა წამოვიძახე:—პაპა! გენაცვალე მიშველე რამე, დაარწმუნე ყველა, რომ ეგა ტყუის, ხომ იმ ღამეს შენ ჩვენთან იყავი...ჩვენი მღვდელიც იქ იყო და შინიდან გარეთ ფეხი არ მომიცვლია. ამ დროს ჩემს ბედზედ მღვდელიც შემოვიდა. ამას ყველაფერი გაეგო და ჯვარსა და სახარებაზედ ფიცით ყველა აქ მყოფი დაარწმუნა რომ მე მართალი ვარ... ამ დროს სოლოც წინ წამოდგა, ოთხათ მოკაკული ტანი აიმართა, მივიდა დიაკვნის შვილთან და უთხრა:

— „ფუი, შენს ნამუსს, ძაღლის წიწილავ! ნამუსიც კაი საქონელია! აბა საიდან იქნებოდა, ბიჭო, ეგ შენთან, როდესაც ეგ საცოდავი ბიჭი ჩემს კალთას არ მოშორებია და ჩემი ნათქვამი ლექსი და ზღაპარი უწერია“...

მერე მე მიმიბრუნდა, მიმიკრა გულზე, დამშრალი

ტუჩები მოაკრა ჩემს ლოყებს და მითხრა:—წამო, შვილო, წამო სახლში, სოფელი სამართლიანია, შენ ჩირქს ვერავინ ვერ მოგცხებს, არხეინათ შეინახე შენი გული.

ამ სიტყვებზედ ცრემლი მომერია, ავქვითინდი, ერთი კიდევ გადავხედე ჩემს მტერს და ბარბაცით გავყე მღვდელსა და ჩვენს სოლოს.

ალექ. ნათაძე.

(გაგრძელება იქნება)



ბელიკობა ხოდგელში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ იცავენ თავს ცხოველები მტრისაგან.

ფრიკის და შუაგულ აზიის უდაბურ ველ-მინდვრებში შეხვდებით ერთ ლამაზს ჭრელ ფრინველს, რომელსაც უდაბნოს კაკაბს ეძახიან. ეს ფრინველი მოყვითლო-რუხის ფერისაა, იმისი გარეგანი ტანთ-სამოსელი სრულიად შეეხამება მის გარშემო მდებარე სილა-ქვიშნარს; უდაბნოს კაკბის დანახვა მარტო გაფრენის დროს შეიძლება. თუ მიწაზედ დაჯდომა მოასწრო, მერე მის დანახვას ნულარც-კი მოელით, მიეკვრის მიწაზედ, გაინაბება, თითქოს ქვესკნელში ჩაძვრაო ისე გაჰქრება თქვენის თვალიდან... აი რას სწერს ერთი მოგზაური ამ ფრინველის შესახებ: უდაბნოს კაკბის ლამაზი სახეებით შემკული ფრთაშესხმულობა საკვებით შეეფერება ქვიშის-ფერსო, ასე რომ როცა ფრინველი მიწაზედ გაუნძრევლად ზის, იმის დანახვა ახლოდანაც შეუძლებელიაო.

დედალი ყრუანჩელა და როჭოც სარგებლობენ თავიანთი ფერადობით, მეტადრე მაშინ, როცა კრუხებათ სხედან.

ორივე ფრინველი ჭრელია, მოყვითლო და მობნელო-რუხის ფერი ფრთებით შემოსილი, ასე რომ თავიანთი ტანთ-სამოსელის ფერადობით ისინი ბევრად გვანან დამჭკნარ ფოთლებს ანუ გაუხმარ შლამ-ბალახს, სადაც ჩვეულებრივ ბუდეს იკეთებენ.

უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ფერადობა შემთხვევითი რამ მოვლენა არ არის, პირიქით იგი ფრიად სასარგებლო საშვალებაა, რომელიც ბუნებას მიუცია უმწეო პირუტყვთათვის მტრისგან თავის დასაღწევად და სიცოცხლის შესანარჩუნებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად. თბილ ქვეყნებში და აგრეთვე ჩვენშიაც ხეებზედ ბინადრობს ერთგვარი ბაყაყი. ამას ხის ბაყაყი ანუ ვაკსა ჰქვია. ტანათ ვაკსა ჩვეულებრივ ბაყაყზედ პატარაა, ფერად სულ მთლად მწვანეა, ამიტომ მწვანე ფოთლებში არ მოსჩანს და მტრის თვალისაგან უზრუნველყოფილია, უშიშრად ზის მწვანე ფოთოლზედ და არხეინად მიირთმევს, თუ მის მახლობლად რომელიმე უმწეო მწერი შემთხვევით ჩამოჯდა.

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ჩვენ განვიხილეთ ისეთი შემთხვევები მფარველობითი ფერადობისა, როცა ამა თუ იმ პირუტყვის სხეული შეღებილ-გაფერადებულია მუდმივი მათ-თვისავე სასარგებლო ფერით. არიან ისეთი ცხოველებიც, რომელთაც ეს ფერადობა გამოეცვლება სხვა და სხვა დრო-ჟამისა და შემთხვევის მიხედვით. ეს გარემოება, რასაკვირველია, ცხოველს უფრო უადვილებს მტრისგან დამალვას და უჩინარ-ჰყოფს მტრის თვალ წინ მის ვინაობას. ამ გვარ ცხოველთა შორის ყველაზედ მეტად ცნობილია ქამელეონი ანუ ისავრო. ეს ცხოველი ტანად პატარა ხვლიკის ოდენაა და რამდენადმე მას კიდევაც წაგავს. ქამელეონი საოცარი რამ ცხოველია, ის შესანიშნავია საზოგადოთ როგორც თავისი სხე-

ქამელეონი.

ულის მოყვანილობით, ისე სხვა განსაკუთრებულ მისი დამახასიათებელი თვისებებით. ქამელეონის შესახებ ჩვენ ჟურნალს— ჯეჯილს არა ერთხელ უსაუბრია თქვენთან, ამიტომ იმის სხეულის მოწყობილობას ეხლა ჩვენ აქ აღარ შევეხებით, მხოლოდ მივაქცევ თქვენს ყურადღებას მისი სხეულის ფერადობას. ქამელეონს სხვა ცხოველებივით განსაზღვრული ფერი როდი აქვს, იმის ფერი მუდამ იცვლება გარშემო მდებარე ბუნების მიხედვით. როცა ქამელეონი ხის ანუ ბუჩქის მწვანე ტოტზედ ზის, მთლად მწვანეა, მაგრამ როცა ხის მოშავო ქერქზედ გადაცოცდება, მაშინ მას შავ-მომწვანო ან მობნელო-რუხის ფერი დაედება. მზიან ადგილას იგი მოალისფეროა, ჩრდილში უფრო თალხად გვეჩვენება, ხოლო ღამეში-კი შავად გამოიყურება. ფერის ამგვარი ცვალებადობა ძლიერ საჭიროა ისეთი სუსტი და ზანტი მქნილებისათვის, როგორიც არის ქამელეონი. წინეთ ფიქრობდენ, რომ ქამელეონს ფერის შეცვლა თავის ნებაზედ შეუძლიაო, მაგრამ ეხლა-კი ყოველ ეჭვს გარეშე დამტკიცებულია, რომ ეს მოვლენა წარმოგვიდგენს მისი არსების სასარგებლო და დამფარველ თვისებას, ფერის შეცვლა ცხოველის ნებაზე სრულიად არ არი დამოკიდებული. მეცნიერნი მრავალნაირი გამოცდისა და დაკვირვების შემდეგ მივიდენ ამ დასკვნამდის: მძინარე ქამელეონს, რომ დაუკვირდეთ, ვნახავთ, რომ იმისი ტანი ერთიანად ყავის ფრად არის შეღებული, მაგრამ თუ მას სინათლე მივაშუქეთ, შევამჩნევთ, რომ იმის ფერი იცვლება, თუმცა მას ისევ თავისუფლად და წყნარად სძინავს; თუ სინათლეს ქამელეონის ტანის ნახევარს მივაყენებთ, მაშინ განათებული ნაწილი უფრო ნათელად გამოჩნდება, ხოლო იქითა, გაუნათებელი კი შავბნელათ დარჩება. აქედან ცხადია, რომ ფერის ცვლილება ცხოველის ნება-სურვილს სრულიად არ ემორჩილება.

ამ რიგათ თუ ქამელეონს მწვანე ფოთლებზე შეაშუქებს სინათლე, მაშინ ის მწვანე ელფერს მიიღებს, ხოლო თუ მას ხის ქერქის— დარიჩინის ფერი მიეშუქება, მაშინ ის დარიჩინისავე ფრად შეფერადდება.

ფერის ცვალებადობას სხვა პირუტყვებიც განიცდიან, მაგალითათ ზოგი ერთი თევზები, რვა-ფეხა და სხვანი. არიან ისეთი ცხოველები, რომელნიც ფერს იცვლიან მარტო ზამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარ-ზაფხულობით. მაგალითათ ჩრდილოეთ რუსეთში, ალპის მთებში და ჩვენშიაც ხშირათ შეხვდებით ესრედ წოდებულ თეთრ კაკაბს. ეს ფრინველი ჭრელია და მასთანვე მონაცრო-ფაბლის ფერი; ზაფხულობით, როცა ბალახით შემკულ დედა-მიწას მობნელო მიწის ფერი გადაჰკრავს, კაკაბს თავის ტანთ-სამოსელით დამალვა არ გაუჭირდება, რადგანაც ამ დროს ის ჭრელია, ესე იგი ზოგან შავი, ზოგან ყვითელი და ზოგან ფაბლის ფერიც ადევს. ზამთარში კაკაბი ტანთ-საცმელს იცვლის და თოვლივით თეთრი ხდება; ცხადია რომ თოვლივით დაფარულ დედა-მიწაზე თეთრი კაკაბის დანახვა ადვილი არ იქნება. რომ უფრო უჩინარ ჰყოს თავის ვინაობა, ის ხშირათ თოვლშიაც ჩაიფლება, შეიძლება შემთხვევით ფეხიც კი დაადგათ და ვერ შეამჩნიოთ. როცა თოვლი დნება კაკაბი თან-და-თან თავის ჩვეულებრივ საზაფხულო ფერზე დადგება. ამ ნაირად იცვლის ფერს კაკაბის ახლობელი მონათესავე მთის როჭო, რომელიც მთა-გორა ადგილებში ცხოვრობს და თავის საზაფხულო ტანთ-სამოსელის ფერადობით ძლიერ წაგავს იმ სალ-კლდეებთა, სადაც მათ უყვართ ბინადრობა; ზამთარში მთის როჭო ისეთი თეთრია, რომ თვალსაც კი ვერ გაუშტერებ.



თეთრი კაკაბი.

მაღალ მთებში ცხოვრობენ ერთგვარი ჯიშის კურდღლები, რომელთაც ალპიელ ანუ თეთრ კურდღლებს ეძახიან. ეს პატარა მხეცი ზაფხულში მოთალხო ფერის არის, და ეს მას ტყეში დამალვას უადვილებს, ხოლო ზამთრობით, როცა დიდი თოვლი დევს კურდღელი თავის ბეწვეულს გამოიცვლის, თეთრად შეიმოსება. ამ გვარად ის უშიშარ და უზრუნველ ჰყოფს თავის სიცოცხლეს მრავალი დაუძინებელი მტრებისაგან, რომელთაც ძალიანაც რომ მოინდომონ მაინც ვერ შეამჩნევენ თოვლში ჩაფლულ თავის მსხვერპლსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მფარველობითი ფერადობა ზოგჯერ მიმბაძველობაში გა-მოიხატება. ამ შემთხვევაში ცხოველი ცდილობს დაემსგავსოს რომელიმე მცენარეს ანუ მის ნაწილს, არა თუ მარტო ფერით, არამედ თავისი ფორმით, მოყვანილობით. თბილ ქვეყნებში სადაც ბუნება უფრო მდიდარია მრავალ გვარი ცხოველით და მცენარეთი, ბევრს მიმბაძველ ნადირს შეხვდებით. მიმბაძველობა ანუ როგორც მეცნიერნი იტყვიან მიმეტიზმი უფრო გავრცელებულია მწერებთა შორის. არის ერთნაირი უფრთო მწერი, რომელსაც ღეროს-მზგავსა ჰქვიან, ეს მწერი

ღეროს-მსგავსა.

საშინლად წააგავს იმ მცენარის ღეროს, რომელზედაც ის ბინადრობს. ამაზედ თქვენც დამერწმუნებით თუ აქვე მოთავსებულ სურათის კარგათ დაუკვირდებით. ღეროს-მზგავსი პატარა უფრთო მწერია, იმას უმეტეს წილად იტალიაში და საფრანგეთში შეხვდებით, სიგრძით ასე ერთ გოჯზედ მეტია. ფერადმწვანეა ანუ მომწვანოწაბლისფერი. მეორე ნაირი მწერი სრულიად ფოთოლს მოგაგონებსთ, ამიტომ მას ფოთოლ-მწერი ჰქვია. ეს მწერი ცხელ ქვეყნებში იცის, გარეგნობით კვერცხისებრივ მოგრძოა და ხშირად ხის ფოთოლზედ ბინადრობს;

ფოთოლ-მწერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა მას ფრთები ზურგზედ ბრტყლად უწყვია, ამ დროს ის ფოთლის სრულ ნაწილს წარმოგვიდგენს და ამიტომაც მისი დანახვა ადვილი საქმე არ არის.

ინდოეთში იცის ერთი პეპელა, რომელსაც კალიმა-პეპელა ჰქვია, ამ პეპელას ზოგჯერ ჩვენშიაც შეხვდებით, აქ ჩვენ ამას ინდოეთის პეპელას ვეძახით. ეს საკმაოდ მოზრდილი და ლამაზი პეპელაა, ამის ფრთები მაღლიდან მტრედის ფრად არის შეღებილი და ზედ თალხი და ფორთოხლის ფერი ფართე წინწკლები აზის, ამიტომ როცა ის მინდორში დაფრინავს ადვილი შესამჩნევია; ფრთების ქვემო მხარე ყოველთვის მოწითლოა ან მონაცრისფერო, მისი სიჩრელე პირდაპირ თვალში გეჩხირება, მაგრამ თუ კალიმა ხის ტოტზედ შეჯდა და თავისი მოელვარე ფრთები შეიკეცა, მაშინ სავსებით დაემსგავსება იმ დამჭკნარ ფოთოლს, რომელიც ჯერ ტოტს არ ჩამოშორებია. აი რასა სწერს ამ პეპელის შესახებ ერთი ინგლისელი ბუნების-მეტყველი მოგზაური, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღებით შეუსწავლია მიმბაძველობის მოვლენანი: „მე არა ერთხელ მოვიწადინე ამ პეპელის დაჭერა, მაგრამ ჩემმა ცდამ ყოველთვის უნაყოფოდ ჩაიარა, პეპელა გაფრინდებოდა თუ არა რამდენიმე მანძილს—ბუჩქნარში გაყვითლებულ ფოთლებში ჩაჯდებოდა. ბევრი ვეცადე იმის დანახვა, მმგრამ ვერ მივაგენ. ერთხელ როგორც იყო შევამჩნიე სად დაჯდა, ნათლად გავარჩიე, როგორ მოეკეცა თავის ზევიდამ ჭრელი ფრთები, ამ დროს იგი სრულიად გვანდა დამჭკნარ, მაგრამ ჯერ კიდევ ტოტზე დარჩენილ ფოთოლს“. ნამდვილია რომ ასეთი მიმბაძველობითი ფერადობა ძალიან შველის უმწეო კალიმას და იფარავს მას მტრებისაგან. არსებო-

კალიმა-პეპელა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისათვის ბრძოლაში გასამარჯვებლათ ზოგიერთა ცხოველებისათვის მიმბაძველობა ფრიად გამოსადეგი და უტყუარი საშვალებაა.



მზომელა.

რუსეთში, ყირიმში არის ერთი ჯიშის ჰეპელა, რომელიც კალიმასავით ბაძავს ხოლმე ფოთოლს, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ფოთლის გიწიწს კალიმა გვიხატავს თავისი ფრთების უკან წაგრძელებულ ბოლოებით, ყირიმელი ჰეპელა გიწიწს წარმოგვიდგენს თავისი ორი ერთათ შეერთებულ ულვაშებით, რომელთაც იგი ჩვეულებრივ ხის წვერზედ მიაბჯენს.



ფანოკლერი.

უთუოდ გაგეგონებათ ერთი პატარა მატლი, რომელსაც სახელათ მზომელა ჰქვია. ეს მატლი გარეგნობით და ფერით ძალიან წაგავს ხის წვრილ ტოტს. თურმე ნუ იტყვით ამ უმწეო არსებასაც სცოდნია თავის დასაცავი რამ ოინი.

მიეწებება მზომელა ტანის უკანა ნაწილით ხის ტოტზედ, ხოლო წინა ნაწილს ტოტს გამოაშორებს და თავისუფლათ განზედ გასჭიმავს; ასეთ მდგომარეობაში მყოფი მზომელა ძალიან ემზგავსება ტოტისაგან გამოწვდილ პატარა ყლორტსა.

არიან ისეთი მწერები, რომელნიც პირდაპირ გვანან ხის გამხმარ პატარა ტოტებს. ამათ უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამერიკაში შეხვდებით. ზოგიერთა ამათგანი უფრთოა, ტანი აქვს ხმელი და ვრძელი, ასე 5—6 გოჯის სიგრძე, ზედ ძაფისავით წმინდა ულვაშები და მოკლე-მოკლე ფეხები ასხია. ასე რომ თავიანთი გარეგნული შეხედულობით ეს მწერები, კაცზედ რაღაც უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენენ, ამიტომ ზოგიერთ ამათ ანს სახელათ ლანდები ჰქვიანთ და ზოგს კი ჯადოს რაში.

შესამჩნევია ორი ამათი მონათესევე მწერი, ერთ ამათგანს სახელათ ფანოკლერი ჰქვიან, მეორეს ფიბალოზომა, პირველი ამერიკაში (მექსიკაში) ცხოვრობს, მეორე აზიაში, კუნძულ იავაზედ. ორნივე თავიანთ გარეგნობით, როგორც სურათიდან სჩანს ძლიერ წააგავს ხის გამხმარ შტოებს.

ი. თ—ძე.

(დასასრული იქნება)



ეროვნული ბიბლიოთეკა

პაპა და შვილი-შვილი

(აზრი ნასესხებია)

ოორგობის თვის სუსხიანი დღე იყო. გიორგი კლდიაშვილი და მისი შვილი-შვილი გიგლა, პაპის სეხნია და მისი სიამაყე, გაჩაღებულ ბუხრის პირას ისხდნენ.

— რას დაღონებულხარ, ჩემო ვაჟკაცო, — ალერსით უთხრა პაპამ შვილი-შვილს. — ნუ სწუალარ იმაზედ, რომ „სალდათობა“ შეგხვდა, ხემწიფეს და მამულს, ხომ იცი, სამსახური უნდა?

— ხემწიფეს და მამულს სამსახური უნდა!! — გაიმეორა გიგლამ მწუხარებით გიორგის სიტყვები — მაგრამ სხვაგან, შორს, უცხო ქვეყანაში წასვლა...

ალარ დაათავა ყმაწვილმა კაცმა და თვალებზედ მომდგარი ცრემლების დასაფარად პირზედ ხელები აიფარა.

— აი, შე ლაჩარო, შენა! — შეჰყვირა პაპამ, ვითომ და გულ-ცივად, მაგრამ თვით გულ-აჩუყებულმა და ლმობიერებით ხელი გადაჰხვია კისერზედ და გიგლას თავი თავის თავთან მიიზიდა.

— მართალია, ძნელია თავის ქვეყნის თავის დანებება, უცხო ხალხში და უცხო ქვეყანაში ცხოვრება და სამსახური, მაგრამ მოვალეობის ასრულებაც აუცილებელია და იმედი მაქვს, რომ შენც პირ-ნათლად შეეყრები შენს მომავალს!

— ომი რომ დაიწყოს? — კვლავ გაუბედავათ წაილულლულა გიგლამ და მორცხვად შეხედა პაპას თვალებში.

— მერე რა? ომშიაც ისევე ჰამაცად იომებ, როგორც კარგ ქართველს შეჰფერის და შენს ქვეყანას ასახელებ! ომიანობა საშინელებაა და ღმერთმა ნულარ მოგვასწროს ადამიანთა სისხლის ღვრას, — განაგრძო პაპამ — მაგრამ თუ დაიწყება — უნდა ვიომოთ, გათავდება და ადამიანები ისევ ძმები იქნებიან. მე ერთს ამბავს გიამბობ, რომელიც ცხონებული პაპაჩემისაგან მაქვს გაგონილი და შენ იქიდან გაიგებ, თუ ომის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ ადამიანები, როგორ ზავდებიან, როგორ მალე ივიწყებენ ერთმანეთის მტრობას. „ნეტარ ხსენებულ მეფე ერაკლის დროს ახალციხის მოახლოვებით, ასპინძაში ომი თურმე გვქონდა ოსმალებთან. ერთ დღეს, საშინელი ბრძოლის შემდეგ, როდესაც ორივე მხრით ათასობით მკვდრები დასტოვეს ბრძოლის ველზედ და მკვდართა შორის ბევრი ცოცხალი დაჭრილის აკრეფა და პატრონობა ვერ მოასწრეს, ორი მძიმედ დაჭრილი მეომარნი თურმე ეყარენ ერთმანეთის გვერდით. ერთი იმათგანი იყო ქართველი და მეორე ოსმალო. ორთავე საშინლად იტანჯებოდნენ ტკივილით და საზარლად გმინავდნენ. ერთმა მეორეს ხმა გასცა, უნდოდათ ნუგეში ეცათ ერთმანეთისათვის, თანაგრძნობის ხელი გეეწვდინათ, მაგრამ სხვა და სხვა ენაზედ მოლაპარაკე, ერთმანეთს ვერაფერს აგონებდნენ, მხოლოდ თვალებით-ღა ამცნეს ერთმანეთს ერთი-ურთ თანაგრძნობა და ძმობის ხელი გაუწვდინეს.

დაღამდა, შუა ღამე გადავიდა და მშვეღიელი კი არსაით იყო. ორთავე დაჭრილი სიცივით კანკალებდნენ და ტკივილებით იტანჯებოდნენ. გათენებისას ერთ იმათგანს ჩაეძინა და როდესაც გამოეღვიძა იმის გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც თავის თავი თბილ ქურქ ქვეშ დაინახა გახვეული. მაშინვე დაჭრილ მეზობელს გადაჰხედა, მაგრამ ის უნძრევლად იწვა და მაღლა ცისკენ ჰქონდა სიცოცხლით სინათლე მოკლებული თვალები. სიკვდილის წამების დროს კი არ დავიწყებოდა თავისი ტანჯული მოძმე და თავისი ქურქი გადეხურა მძინარესთვის“.

პაპამ სთქვა ეს და შვილი-შვილს გადახედა. გიგლა აღელვებული იყო, თვალები აღტაცებით უბრწყინავდა.

— როგორ გგონია,—უთხრა პაპამ რამდენიმე ხნის სიჩუმის შემდეგ.—რომელ ერს ეკუთვნოდა ლმობიერებით სავსე მეომარი, რომელიც მწარე სიკვდილის წამსაც-კი კაცთ-მოყვარეობით იყო სავსე?

— ქართველი, პაპა, ქართველი!—შეჰყვირა გიგლამ და პაპის ჭაღარა თავს კვლავ თავის შავ-ხუჭუჭა თავი სიყვარულით მიაყრდნო და სევდა განშორებისა თითქო გულიდან გადეყარა.

ეკ. გაბაშვილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაფი*)

(თარგმანი)

ობა მოახლოვებული იყო. კალიფორნიაში*) ამ დროს გაზაფხულია. სულ წვიმს და მთელი არე-მარე მწვანე ხავერდით იმოსება. ცა სულ მოღრუბლულია. ლეგა ბურუსი გარშემო შემოხვევია დედამიწას და მხოლოდ იშვიათად თუ გამოჩნდება ხოლმე მთის წვერებზე მზის სხივები, რომელნიც იწვევენ ხალხს ახალს და მხიარულ ცხოვრებისაკენ.

პატარა საზოგადოება ბავშვებისა, ჟრიამულით შემოხვევიან შობის ხეს, მოუგროვებიათ სათამაშოები და სთხოვენ თავის ძველ მეგობარს, ბუზღუნა ექიმს ზღაპარი გვიამბეთო.

— ზღაპარს კი არა, ნამდვილად მომხდარ ამბავს-კი გიამბობთ — უპასუხა ექიმმა, მიიწია სავარძელი ბუხრისაკენ, გარშემოისხა ბავშვები და დაიწყო:

— მე არა მსურს, რომ ვინმემ შესწყვიტოს ჩემი მოთხრობა თავისი სულელური კითხვებით. პირველ კითხვაზე გავჩუმდები, მხოლოდ მეორეზედ კი ყველას დავსჯი და თუ ვინმე ხელს ან ფეხს გააქნევს, მაშინვე მოვსჭრი — ყველა იარაღები თანა მაქვს. ასე ემუქრებოდა ექიმი ბავშვებს.

---

*) დაფი — დოდი, „ბარაბანი“.

**) კალიფორნია — ნახევარი კუნძულია ამერიკაში. როცა ჩვენში ზამთარი დგება, მაშინ იქ ზაფხული იწყება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მომეცით სიტყვა, რომ ჭკვიანად ისხდებით.

— ჭკვიანად ვიქნებით, ჭკვიანად! ერთხმად ყვიროდენ ბავშვები და იმასთან ერთად გაისმა კითხვები: რას გვიამბობთ? სამხიარულოა თუ საშიშარიო?.

— ჩუმათ, ჩუმათ! ხელების ქნევით იძახდა ექიმი და სასტიკი შეხედულება მიიღო.

— ბობ! გაჩერდი, ხმალს ნუ ახრიალებ იატაკზე — მიუბრუნდა ექიმი პატარა რვა წლის ვაჟს. — ფლორა ჩემ გვერდით დაჯდება, როგორც ჭკვიანი ქალი და მაგალითს გიჩვენებთ, როგორც უნდა ისხდეთ.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ ფრანგული ბრინჯაოს საათის რაკა-რუკი-ღა ისმოდა და ნაძვის ხის გამაცოცხლებელი სუნი მოსდებოდა ოთახს.

— დიდი ხანია მას შემდეგ — დაიწყო ექიმმა — მე ვისმენდი სამედიცინო ლექციას ერთ-ერთ, ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების, ქალაქში.

— „შობა საღამო იყო. ჩემმა ნაცნობმა პროფესორმა მიმიწვია თავის ოჯახში, რომ იმასთან ერთად გაგვეტარებინა ბრწყინვალე ქრისტეს შობა. მე დიდის სიამოვნებით დავთანხმდი მით უფრო, რომ მინდოდა მენახა იმისი თორმეტი წლის ვაჟი, რომელიც ძალიან გასაკვირველი ჭკუის პატრონი იყო. ძნელი სათქმელია, რამდენი ლათინური ლექსი იცოდა ზეპირად, და რამდენს თვითონვე სწერავდა ინგლისურ ენაზედ. თითქმის ყველას საკვირველ ბავშვათ მიაჩნდა და ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებდენ. მხოლოდ მამა აქნევდა ხოლმე ეჭვით თავს: „შეიძლება მომავალი გაიფუჭოს ჩემმა შვილმაო!“

*
* *

საღამო, პროფესორთან მხიარული იყო. მთელი უბნის ბავშვები სულ იქ იყვენ. ჯან-საღ ბავშვებთან, რომელთაც ვაშლებივით დასწითლებოდათ ლოყები, რუპერტი (ასე ეძახდენ პროფესორის ვაჟს) მახინჯად სჩანდა. ძალიან გამხდარი, ტანით რვა წლის ბობს წააგავდა, ნაზის პირის-სახის კანით კი — ფლორას. პროფესორის სიტყვით რუპერტი ჯან-საღი არ იყო, არ უყვარდა სირბილი და ამხანაგებთან თამაშობა. სულ წიგნებს კითხულობდა ან კიდევ ლექსებს სწერდა. ეტყობოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუპერტს მეგობრული დამოკიდებულება არა ჰქონდა ამხანაგებთან. ისინი სუყოველთვის დასცინოდენ რუპერტს და მეტ სახელებს ეძახდენ: ნაცარქექას, მშიშარას, ლაჩარს და ბევრს ამისთანეებს, მაგრამ რუპერტი ყურადღებას არ აქცევდა არაფერს და შინ გასწევდა წიგნების საკითხავად.

*
* *

— პროფესორს მოემზადებინა მშვენიერი შობის ხე და ბევრი სტუმრებიც მიეწვია. იყვენ რასაკვირველია მოპრანჭული ქალები, აბრეშუმის და მხიარულ-ფერის კაბებით, რომელთაც ყოველ ფეხის გადადგმაზე შრიალი გაჰქონდათ. ყველაზედ უფრო მეტი ყურადღება ორმა ახლათ მოსულმა სტუმარმა მიიქცია. ერთი იყო მოხუცი ქალი, პატარა დანაოჭებული სახით და თეთრი თოვლივით კულულებით, თავზე ეხვია თეთრი კუწუბებიანი თავ-სახვევი, რომელიც წითელი ლენტით დამაგრებული ჰქონდა. მოხუცი ქალი ისე ყიყვარულით უცქეროდა ბავშვებს, თავისი გამქრალი, მაგრამ ალერსიანი ცის-ფერი თვალებით, რომ ვერც კი ამჩნევდა, როგორ დაცინვით ათვალიერებდენ სტუმრები იმის დალეულ ტანის მოყვანილობას. მეორე უცნობი კაცი იყო, რომელსაც ისევე დამცინავის თვალებით უცქეროდენ, როგორც ქალს. ის იყო ოცდა ათი წლის ყმაწვილი კაცი, მაღალი, და გამხდარი, როგორც ჩონჩხი. გრძელი მიხაკის ფერის მაუდის სერთუკი ისე ადგა, თითქო ლურსმანზედ დაუკიდიათო. იმის სუფთა ტანისამოსზე არა ბრჭყვინავდენ, არც ძვირფასი ქვები და არც ოქროები. სახის მოყვანილობა არა ჰქონდა სწორე, არც ლამაზი იყო, მაგრამ ისეთი პატიოსანი სახის გამომეტყველება ჰქონდა, რომ კაცი ერთი შეხედვითვე იტყოდა, ეს თავის დღეში კაცს არ მოატყუებს და რა საქმესაც დაადგება, პატიოსნად შეასრულებსო.

მართლაც და რობსონი (ასე ეძახდენ ამ ყმაწვილ კაცს) ძალიან პატიოსანი იყო. ის ღიმილით უცქეროდა ბავშვებს და გულ-გრილათ იტანდა სტუმრების დაცინვას, რომელსაც კარგად ამჩნევდა.

„ესენი ვინ არიან?!“. ჰკითხავდენ გაკვირვებით სტუმრები მასპინძლებს—სად მოგინახავთ ეგენი?!

— ეს არის ჩემი დიდი-დედა, ე. ი. ჩემი დიდი-დედის

ეროვნული ბიბლიოთეკა

და—ოთხმოცი წლისა—უპასუხებდა პროფესორი—ეს კი ამისი საყვარელი ძმის-წულია. აქ საქმეზე მოვიდენ.

შობის ხე ძალიან მხიარული იყო, ბავშვები ტაშს სცემდენ, იცინოდენ, წინათვე ცდილობდენ გამოეცნოთ, რომელი საჩუქარი ვისთვინ იყო დანიშნული და სიხარულით ხტოდენ, როცა საჩუქარს საჩუქარზე იღებდენ.

საჩუქრების დარიგების დროს, ბავშვები სახელებს ხმა მაღლა ყვიროდენ.

რუპერტის სახელიც დაცინვით და თანაც გაკვირვებით წამოიძახეს:

— აი რუპერტის საჩუქარი! გამოიცანით, რა არის?

— საწერი მაგიდა?

— ოქროს კალამი?

— სრული კრებული მილტანის თხზულებებისა?

— რითმების ლექსიკონი?

— ჰო, თქვით რა არის?—კითხვებს სეტყვასავით აყრიდენ აქეთ-იქიდან.

— და...ა...ფი—გააგრძელეს ბავშვებმა.

— ჰო და დაფი!

ბავშვებს გაკვირვებისაგან ხმა ჩაუწყდათ.

მართლაც და ჩვენა ვნახეთ დიდი ბჭყვრიალა დაფი. თუჯის რკალით და ზედ წარწერით: „რუპერტისთვის“.

რასაკვირველია ჩვენ ყველამ გავიცინეთ ასეთ მასხრობაზე. საწყალ რუპერტს მოუყვენ დაცინვას.

— შენ ყველაზე დიდ ხმას მოჰფენ, რუპერტ, ქვეყანაზედ.—ეუბნებოდა ერთი.

— ეს ეტრატია პოეტისთვის!—აბრაზებდა მეორე.

— ეს უკანასკნელი თხზულებაა რუპერტისა, ტყავის ყდაში დაკაზმული.—იძახოდა მესამე.

რუპერტი ისე იყო შეურაცყოფილი, რომ ხმის ამოღება ვერ შეეძლო. გაყვითლდა და ტუჩების კვნეტით ოთახიდან გავარდა.

დამცინავთ შერცხვათ და დაიწყეს კითხვა: ვინ დაჰკიდა დაფი ხეზედაო! ყველანი განცვიფრებით ჩურჩულებდენ, მხოლოდ მოხუცი ქალი იდგა და ვერ გაეგო, რაში იყო საქმე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგანაც ცოტა ყურთ აკლდა. ბოლოს ძმის-წულმა ყურში ჩაყვირებით ძლივს გააგებინა.

კეთილმა დიდედამ ამოიოხრა და სთქვა: ,,მე დავკიდე დაფი, მე ხომ არ მინდოდა შეურაცყოფა მიმეყენებინა ბავშვისთვის, ან რა არის აქ საწყენი? დამიძახეთ აქ, მე ვეტყვი, რომ მინდოდა მესიამოვნებინა მისთვის.

გაგზავნეს დასაძახებლათ, მაგრამ რუპერტი არ მოვიდა, მაშინ მოხუცი დაეყრდნო ძმის-წულს მკლავზე და რუპერტის ოთახისკენ წავიდა. ბავშვები, რამდენიმე სტუმარი, მე და რუპერტის დედ-მამა უკან გავყევით.

რუპერტი მაგიდის წინ იჯდა. ხელები სახეზე მიეფარებინა და თითები კი ჩაეყო თავის აბრეშუმივით წმინდა კულულებში. თვალებზე ცრემლები ადგა. უბედური დაფი შორს კუთხეში გადეგდო.

რუპერტს ყურადღება არ მიუქცევია შემომსვლელთათვის, მხოლოდ თითები უფრო ღრმათ ჩაიფლა თმებში. მოხუცმა, რომ დაინახა გადაგდებული დაფი კუთხეში, ანიშნა ძმის-წულს აეღო უდანაშაულო სათამაშო. მზრუნველობით გამოართვა, გაასწორა შედრეკილი გვერდის რგოლი, რაზედაც თასმა იყო დამაგრებული და მიუახლოვდა რუპერტს, რომელსაც შეესმა ალერსიანი ხმა დიდედასი: ,,საყვარელო რუპერტ!'' რუპერტი არ გაინძრა. მაშინ დიდედას ძმის-წულმა მოაშორა ხელები პირიდან, ააყენა ფეხზედ და პირი დიდედასაკენ მოუბრუნა.

— დამანებეთ თავი! — ყვიროდა რუპერტი — დამანებეთ თავი! მე არ მინდა თქვენი სულელური სათამაშო, რომელსაც მხოლოდ სულელებს აძლევენ.

— ოჰ, ოჰ, ოჰ — ერთხმად ყვიროდენ ბავშვები.

— ჰო, იცინეთ, იცინეთ! — გაბრაზებით ყვიროდა რუპერტი — თქვენა გწყინთ, რომ მე არ ვერთობი ამისთანა სულელურ სათამაშოებზედ, როგორც სხვანი და რომ არას დროს არ დავიწყებ სიარულს დაფის კვრით, როგორც სხვა რეგვენები.

— თქვენ იცინით განა, მაგრამ მოვა დრო, რომ თქვენ თავს მოიხრით თქვენგან მასხარათ აგდებულ, ლაჩარის და ნაცარქექიის წინაშე. თქვენ არაფრად მიგაჩნიათ, რომ მე წიგნებს უზივარ, მაგრამ მე მსურს წიგნები არ მოვიშორო გვერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდან. რამდენიც გნებავდეთ დამცინეთ. ხედავთ რომ მე ახლა პირველი მოწაფე ვარ, კვლავაც პირველი ვიქნები, ყოველთვის პირველი ვიქნები. გამოჩენილი კაცი გავხდები. პირველი მწერალი, პირველი ზე-კაცი ამერიკისა. თქვენ ყველანი ქედს მოიხრით ჩემ წინაშე და ბედნიერათ მიიღებთ თუ მე ხელს გაგიწოდებთ.

ყმაწვილი ლაპარაკობდა, თითქო სიცხისაგან ბოდავსო და იმეორებდა ერთა და იგავეს.

ყველანი განცვიფრებით უყურებდენ რუპერტს. პრიფესორი მკაცრად და მწუხარებით უცქეროდა შვილს. რუპერტი ისე იყო გაწითლებული, რომ მე მზათ ვიყავ, გამეშინჯა, სიცხე ხომ არა აქვს-მეთქი. ამ დროს მოხუცი ქალი, რომელმაც გაიგონა რუპერტის ბოდვა; მივიდა ახლო და უთხრა:

„ჩემო შვილო, მე მინდოდა მესიამოვნებინა შენთვის, იმიტომ გაჩუქე ეს საბავშვო საჩუქარი. მე არ ვიცოდი, თუ შენოტოლა ბავშვს ასე სავსე ექნებოდა გული სიბოროტით და სიამპარტავნით.

„შენ სოქვი: მე ვიქნები ზე-კაცი ამერიკისაო, ყველა ჩემს წინ მოიხრის ქედსაო და ვითომ არ ივლი დაფის ხმაზედ, როგორც სხვა რეგვენებიო. მამაჩემი და შენი მამის პაპა რეგვენი არ ყოფილა, მაგრამ მისდევდა დაფის ხმას და უკრავდა ჩვენ დიდებულ გამარჯვების დროს, როცა ჩვენმა ჯარებმა პირველად დაამარცხეს ინგლისელების ჯარი. ამ დაფის ხმას მისდევდნენ რეგვენები-კი არა, არამედ მამაცი გმირები, რომელთაც გვიხსნეს ჩვენ მონობისგან და გაგვზარდეს თავისუფალ დიდებულ ერად. როცა ომი გათავდა მამაჩემი რაზმის უფროსი იყო, მაგრამ დაფი-კი ისევა ჰქონდა. „სიკვდილის წინ ჩვენ ჩაგვაბარა ის დაფი, პირველი გამარჯვების სახსოვრათ. აი ეხლა მეც შევუკვეთე ისეთივე დაფი შენთვის, მხოლოთ უფრო პატარა. მინდოდა მეთქვა შენთვის, რის სახსოვარია ეს დაფი, მაგრამ საჩუქარმა შენ შეურაცყოფა მოგაყენა. მე ამას სხვა ბავშვებს ვაჩუქებ, ისინი გაიგებენ, რომ ის ხალხი, რომელიც მისდევდა დაფის ხმას, რეგვენები არ იყვენ. ისინი არ ოცნებობდენ წინათვე, როგორც შენ, რომ იქნებოდენ მამაცი გმირები და ყველანი იმათ წინ მოიხრიდა ქედს. არ ამბობდენ, რომ ისინი იქნებოდენ პირველნი მთელ ქვეყანაზე. იმათ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აშინებდათ მტრის ტყვია. ისინი მამაცათ იბრძოდენ მამულისათვის. არა ფიქრობდენ არც გამოჩენაზე, არც სახელზე, მხოლოთ უნდოდათ გაეკეთებინათ თავიანთი საქმე და გააკეთეს კიდეც. ეხლა იმათი სახელი ძვირფასია ყველა ამერიკელისათვის. აი რისთვის გაჩუქე დაფი“.

მოხუცს ხმა უფრო და უფრო უმაგრდებოდა და უმხნევდებოდა... ყვითლად დანაოჭებული სახე დაებრაწა, თვალები უბრწყინავდენ.

ბავშვები ცნობის მოყვარეობით უგდებდენ ყურს დიდედას. დაცინვის ნიშან-წყალიც-კი აღარსად იყო. თვალები ცეცხლივით აენთოთ. სამი პატარა ბავშვი, რომელნიც თავის დღეში არ გაჩერდებოდენ, ეხლა პირ-დაღებულნი შესცქეროდენ დიდედას, და როცა დიდედამ გაათავა ლაპარაკი, დაიწყეს ფეხების ბრაგუნი და „ვაშა, ვაშას“ ყვირილი.

ამ ყვირილმა შეაკრთო მოხუცი და უკან მოიხედა. იმას შერცხვა, როცა დაინახა, რომ ყველანი უცქეროდენ, ჩასჭიდა ხელი ძმის-წულს და გასწია უფრო მოშორებულ კუთხეში.

ამ სიტყვებმა ყველაზედ უფრო რუპერტზე იმოქმედეს, თუმცა ხმა არ ამოუღია. არც კი განძრეულა. თვალები მას განივრათ გაეხილა, თითქო პირველათ ნახა ახალი რამე დიდებულიო, და უნდოდა დაენახა უფრო კარგა და გაეგო, რა მოხდაო.

რობსონმა ჩაციებით შეხედა რუპერტს თავისი გონიერი თვალებით. მიუახლოვდა და უთხრა:

„რუპერტ! ნუ თუ შენ, რომელიც სულ წიგნებს ჩაჰკირკიტებ, არ წაგიკითხნია, რა არის უმჯობესი სიკეთე სიცოცხლეში?! განა იქა სწერია, რომ ჩვენ წინ იხრიდენ სხვები ქედს—და პირველად გვთვლიდენ?! არა! ბედნიერება იმაშია—კეთილათ იცხოვროს კაცმა და როცა სიკვდილი მოვა თავი ხალხს შეაკლას. რათა ჰკითხულობდი ჩვენი დიდებული ბრძოლის ამბავს თუ კი ვერ გაიგებდი?! ეხლაც მალე დაიწყება მეორე—წინანდელზედ არა ნაკლებად დიდებული ბრძოლა. ათასი ჩვენი ძმა, განსხვავებულნი მხოლოდ კანის ფერით, იტანჯება მონობაში. იმათ აწვალებენ, სცემენ, ქანცვენ მუშაობით, ჰყიდიან როგორც უენო საქონელს და დედას ძუძუდან შვილს ჰგლეჯენ და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახლაც დაჰკრავენ დაფს და მამაცი გუნდი ჯარის კაცთა გასწევს გასანთავისუფლებლად ათასი შავ-კანიანის ძმებისა, და შენ კი ამბობ, რომ დაფის ხმას მისდევენ მხოლოდ რეგვენებიო. მე კი ვიტყვი, რომ დაფის ხმაზე წავა ყველა პატიოსანი მამულის შვილი, რომელსაც ესმის, რომ თავი უნდა გასწიროს მოძმის გულისათვის. წავლენ პატიოსანი მოქალაქენი ამერიკისა, რომელნიც იხსნიან მონობისაგან მშრომელ ხალხს. გეტყვი კიდევ, რომ ის კაცი, რომელიც სულ წიგნებს ჩაჰკირკიტებს და ოკნებობს იმაზედ, რომ იყოს პირველი კაცი ქვეყანაზედ და ყველა იმის წინ იხრიდეს თავს, ის პირველი კი არა, ის იქნება ყველაზედ უკანასკნელი ხალხში.

— ვაშა! ვაშა! — ყვიროდენ ისევ ის ბავშვები. რუპერტი იდგა წინანდელივით, თითქო ადგილზედ მილურსმულიაო.

— ოჰ, რუპერტ, კმარა დგომა, უოხარ მე წადი, ითამაშე, და ხელი ჩავჭიდე წასაყვანად. რუპერტმა ხელი გადისვა შუბლზე, თითქო ეს არის ეხლა გამოფხიზლდაო და მიიხედ-მოიხედა გარშემო. დიდედასი და რობსონის დანახვაზე გაწითლდა და თვალებზე ცრემლები მოადგა. ნელა გაინთავისუფლა ხელი ჩემი ხელიდან, მიუახლოვდა დიდედას, გამოართვა დაფი და პატივისცემით ხელზე აკოცა იმას.

ბებიამ ხელები მოჰხვია, მიუალერსა და უთხრა: — გახსოვდეს, მამაჩემი უკრავდა დაფს დიდებულ დროს...

და ცრემლებმა არ დააცადეს დაემთავრებინა.

რუპერტი დაფით ხელში მიუახლოვდა რობსონს და ჩუმათ ხელი გაუწოდა. — „ყოჩაღ“, უთხრა გულ-კეთილად რობსონმა და მაგრა ჩამოართვა ხელი ბავშვს.

მერე რუპერტმა ჩამოჰკიდა დაფი ლურსმანზე, თავის საწოლის თავთან.

ეთერი რაზიკაშვილი.

(დასასრული იქნება)



ეროვნული ბიბლიოთეკა

მტკვარი, ჭოროხი და რიონ.

ამათ სათავეია ბუნება და ხალხი.

მგზავრის დღიურიდან

უწინდელი ზემოქართლი და მტკვრის სათავე

I.

ქურთთა ბინა ორდანა, დანიელა ხახმი, არარატის მთა და ნოეს კიდობანი.

ოფელ კაზნაფარიდან მტკვრის სათავემდე კიდევ 40 ვერსი დამრჩა გასავლელი. აქ ვიქირავე ერთი ჯაგლაგი ცხენი თავის პატრონით. წინამძღოლ ქურთს უნდა ეჩვენებინა სათავე, სწორეთ ის ადგილი, საიდანაც სჩქეფს და გამომდინარეობს ჩვენი მტკვარი, ეს უდიდესი და უდიდებულესი მდინარე მთელის საქართველოისა.

კაზნაფარიდან*) ნასადილევს, სიგრილით გამოვედით. ვიდრე მზე ჩავიდოდა, გზა და გზა ამ ერთ ფეროვან, მოტიტვლებულ ქვეყნის ახლად ნახვა, მისი არე-მარე მახალისებდა—ამა-ღელეთა სურათებით ვერთობოდი...

აგერ დასავლეთს ცეცხლი მოედო, მზე ჩადიოდა, გორას მოეფარა. ქვეყანას ფერი ეცვალა, სხივი მოაკლდა, ჩრდილმა დაჰფარა. ერთი შეხედეთ დასავლეთის ცას!.. გრძნეულმა ბუნებამ ერთი კალმის მოსმით რა ბრწყინვალე, მომხიბლავი, რა საუცხოვო სურათი დახატა!.. ვიშ ბუნებავ! რა თვალთმაქცი რამა ხარ... რა ფერადებით აგიჭრელებია ეგ ღრუბლებთა ქარავანი... აბა ვინ ასწერს მაგ დიდებულ სურათს...

რამდენათაც მზე ძირს იწევდა, იწურებოდა, ანთებულ ღრუბელთა ფერადებიც საუცხოოთ იცვლებოდა... მთლად არე-მარე ბინდმა მოიცვა. მთის სილუეტები მოჩვენებასავით შავად მოსჩანან, მელანდებიან... ღამდება. ცაშიაც რაღაც სამზადისია—ზოგან შავი ღრუბელი, ზოგან მკრთალი სინათლეა—ბნელთა სამეფო ჯერ მთლად არ დამკვიდრებულა...

---

*) ერტაანის ზევით არის, თურქმენთა სოფელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტა ხანიც და... აღსრულდა კანონი ბუნებისა... ღამემ დღე სრულიად შესცვალა.

ჩემი „ჩიჩერონი“ (ბელადი) ქურთი, მხარზედ კომბალ გადებული, უდარდელად, თავმომწონეთ მიმიძღოდა. ბუნების სურათები არა ხიბლავდა, ამას ქირა უხაროდა. მომწყინდა ბნელაში ფრატუნი და კაეშანის გასაქარვებლად, ჩემი დამტვრეული თათრულით რამდენჯერმე დაუყვირე კიდეც ქურთს... „ჰანი მარჯან-სუ“ მეთქი. თურქმა წეკო გააბოლა, პირიდან ჩიბუხი გამოიღო და „ოლუურ-ოლუურ“ რო მომაძახა, ცხენი შედგა და კაჭაჭებს დაუწყო კორტნა!.. დაბრიყვებაც სწორეთ რო ასეთი უნდა! ჰო თქვენმა მზემ! არა და... რაცა ხანია ტაატით მივყავდი, მაგრამ ისე ვიყავ მოჯადოებული ცის სურათებით, რო ვის ეცალა... აღვირს სულაც მივანებე თავი...

ახლა-კი მომივიდა ჯავრი! სჩანს თავისუფლებამ მოვალეობა დაავიწყა ჩემს ჭკვიან პირუტყის და, რო უარესად თავს არ გასულიყო, აღვირის ტოტები ისევ ხელთ მოვიკრიბე, ამოვკარ ლაგამს, ცხენს კისერი დაუმოკლე, ერთიც უდეზე და გულმოსულმა ორიოდე მათრახიც გადაუჭირე... მერეკი... ეს ბატონობაც მომბეზრდა... ისევ ცას მივმართე.

კარგა დაბნელდა, მოლრუბლულ ციდან, აქეთ-იქიდან, ცბიერად გამობუტავდენ კეკლუცნი ვარსკვლავნი... ჩემს არარაობას თუ დასცინოდენ, მეტადრე აგერ... ა ის, დიდი ვარსკვლავი, ვილაც პლანეტა,... ეითქოს ბუტიაობას მეთამაშებაო, ძრიელ ჩამაცივდა—ხან ღრუბლებში მემალებოდა, ხანკი ისევ მინათებდა სრულის მშვენებით.

ეჰ! ვარსკვლავო, მშვენიერო ცის მნათობო... ნეტავ რა მქნა, გადარამქნა, მეც შენსაებ კეკლუც ვარსკვლავათ მაქცია, შენთან ამომაფრინა, შენი გულის პასუხი მაცნობა, შენზე უკეთ აბა ვის ეცოდინება, ვარსკვლავო, რაც ამ არე-მარეში საქმენი მომხდარა... მითხარ, მიამბე, რა იქნა, სად გაჰქრა ქართველთა ის ძრიელი სული, ის განთქმული, გაჩაღებული სიცოცხლე, რომელიც აქ, ამ ზემო ქართლში სდუღდა და გადმოდიოდა!? აღარ შეჰხარის აქ სული დავით დიდის კურატპალატისა, თამარ მეფისა და წმ. მამათა საღმთო რჯულის მთარგმნელთა მოწეს-რიგეთა. იმათ საგმირო საქმეს, აქ ქვანილა ღაღადებენ, მნათობო!... ვინ-ღა ეპატრონება ახლა მათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციხე-კოშკებს, საყდარ-მონასტრებს, რომელნიც ასე უხვად არიან აქ გაფანტული, გავერანებული. სადღაა, ვინ-ღაა!? აგერ მესამე დღეა მოვდივარ და ქართულად ხმა ადამიანისთვის არ გამიცია ..

მაგრამ რას გეკითხები შენ, ათას საუკუნოებათა მოწამევ, ცისა მნათობო!? აბა ოცნებაც სწორეთ რო ამისთანა უნდა... განა მე ბევრი ვიცი, დღეს ჩემმა ცხენმა რამდენი ჭია-ღუა, ჭიანჭველა, ხოჭო-პეპელა ფეხქვეშ გასრისა?!.. ცადე ქვეყნად განა რა არის უძრავი და უცვლელი რო ხალხი დარჩეს, სამეფო შერჩეს დაურღვეველი. ან-კი თვით შენ, დიდებულო ვარსკვლავო, განა უძრავი და უცვლელი ხარ? განა შენ-კი შეგრჩება მარად ჟამს ამ ცაზე ბატონობა, მნათობიობა!?..

—

შევადარე ჩემი თავი უწინდელ მეზღვაურთ, როდესაც ჯერ კომპასი არ იყო მოგონილი და ღამის წყვდიადში აღარ იცოდენ საით მიემართათ გემ - ხომალდის დინგი.—გაეშალათ, გაბედულად აეფრიალებინათ, თუ ჩამოეშვათ, აეკრიფათ ნავის აფრები—იალქნები, ის ბრჭყვიალა, ჩემი ლამაზი ვარსკვლავიც დამიბნელდა—შავმა ღრუბლებმა შთანთქეს, მეც მივენდე ცხენის ფეხთა კუნთების ძალას და ქურთის შავ თვალებს, რომელნიც ამ უკუმეტ ბნელაში ისე უნათებდნენ, როგორც კატის ყველა ნათესავი: ლომი, ვეფხი, ავაზა, კატუნი, ფოცხვერი, ყურშა და სხვ...

შუა ღამე იქნებოდა, როდესაც შორით გამოჩნდა, გზის მაჩვენებელ ვარსკვლავივით, ცეცხლის სინათლე, თურმე მივატანეთ ორდანას ნასოფლართან ქურთ-მწყეტსების ბინას. გამამხნევა ცეცხლის შუქმა! უფრო-კი ის მიხაროდა, რო გულს მოვითბობდი შუა ცეცხლზე.

წარმოიდგინეთ რო დამდეგ მარიამობისთვეშიაც-კი ე გვერდები საგრძნობელად გამოციცვდა, არც თუ საკვირველია! ამ უტყეო, შიშველ ადგილებზე, ღამ-ღამეობით ზაფხულშიაც-კი შეიძლება უარესადაც აცივდეს, რადგან ექვსი ათას ფუტის სიმაღლეზე ავბობღდით. იანგარიშეთ, შავი ზღვის პირიდან (თაროზოდან), ვერს ნახევარი სიმაღლე; ანუ ჭოროხის შესართავთან დაურჭეთ ზღვის პირას ბოძი ორი ათასი ადლის სიმაღლე, ჰო და იმ ბოძის წვერვალზე ეხლა ჩვენ ვმოძრაობთ,

ვჯამბაზობთ. ბუნების გადაუვალი კანონია: ბალალ ადგილებზე ჰაერი თხელია, გაფანტულ—გაქსაქსულია; ამიტომაც მზის სხივები დღისით ძლიერ ადვილად ახურებენ აქაურობას—დედამიწას, ღამით-კი სწრაფად აცივდება ხოლმე,—რადგან დღისით ადვილად აკრეფილი მზის სითბო-სიმხურვალე, ისევ ადვილად იფანტება ცის სივრცეში, ამ გვარათვე წვიმის სისველე—სინოტიე მთაში უფრო ადვილად და ჩქარა შრება, ვიდრე ბარში.

მივუახლოვდით ქურთთა ბინებს. აგერ ერთმა ძაღლმა შეჰყეფა კიდეც. მის ზარმაც ყეფას სხვებმა უფრო ძლიერი ხმა მისცეს, ასტეხეს აურ-ზაური და ყეფა-ხვნეშით ჩვენსკენ გამოექანნენ საბრძოლველათ. ჩვენმა ქურთმაც დროზე მოიმარჯვა შინდის კომბალი—გაჯავრებულმა დაუყვირა კიდეც ქურთებს... იქიდანაც წამოვიდა ხმა: „ოშტ! ოშტ!..—ძაღლებს უჯავრდებოდენ. წინ მოგვეგებენ რამდენიმე მწყემსი განუყრელი კომბლებით და ძაღლებიც ყეფა წკავ-წკავით დაგვშორდენ...

— ევარატაბხერ! (საღამო მშვიდობისა) დაუქურთულე მეც მასპინძელს, რომელმაც სალამი დამასწრო. კარვის წინ შემომეხვივნენ გარს და ისე დამხუთოდა მუხლები რომ ჩამოხტომის მაგიერ, ცხენიდან ჩამოვიღეს.

გამიძღვა წინ მასპინძელი და თავიანთ შავნაბადა კარავში შემიპატიჟა, კერას წინ გამიშალეს თეთრი საგები ნაბადი, ზედ ჭრელი ხალი და მუთაქა. მე ჯერ ხელები მოვითბე და მოკეცვა რო ვერ მოვახერხე, იქვე წამოვწექ და უზრდელობად რომ არ ჩამოერთმიათ, გაჭიმულ ფეხებზე მიუთითე „ბურდა აღრიერ“, მუხლები მტკივა მეთქი...

ქოხის მოფარდაგებულ კუნჭულიდან რაღაც ჩურჩული, მოძრაობა შემომესმა; რამდენიმე წამიც და, უფროსი დიასახლისი წამოვიდა კერასკენ. ყოჩაღათ წამოვჯექი—სალამი მომცა, მივეცი. ჩემდა პატივისცემისთვის—თუ, ამ ჩემი ცოდვით სავსემ, შუა ცეცხლს წივა მიუმატა—სუნს ჯანი გავარდეს აბოლდა საშინლად. ამათ სჩანს ერთი პირი ძილი კიდეც გამოუცხვიათ—დიდრონ შავ-თვალებს მხიარულად მიმიზნებდენ ქურთი ახალგაზრდა ყიზე—ქალები. ესენი მგონი ვახშმის თადარიგს შეუდგენ, რის წინააღმდეგიც ძრიელ ვიყავ, მაგრამ ვერა გავაწყე-რა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველარ შევიმაგრე თავი და ნაბად თავზე წახურული, ერთი კარგად წამოვწექი... წამთვლიმა გვარიანად, მაგრამ რაღაც ჩოჩქოლი შემომესმა და წამსვე წამოვჯექი... მოჩვენებასავით მომელანდა, შემოდგა ფეხი კარავში ერთმა კიკინებიანმა მოხუცმა და სალამი მომცა...

— გამარჯობა ბატონო—ე, სალამო მშვიდობისა—ე...

- აი ვაკიმარჯოს, ჩვენო ებრაელო! შენ რაღამ გაგაჩინა აქ?...

— ღმერთმა ე... ეჰ! ჩვენი საქმე ვინ იცის, პატარა ასაღები მქონდა და თანაც...

— შენი სახელი ისრაელო?

— დანიელ კობაშვილი ბატონო.

— თვითონ ბატონო; აბა დაბძანდი დანიელ... შენ თითქოს ქეიფზე ვერა ხარო...

— არა კნიაზ... ღმერთმა დაგვიფაროს ამ უალაგო ალაგას... ამათ მძინარე წამომახტუნეს—„ადე გურჯი კნიაზი მობრძანდა, წამო ელაპარაკე რამეო...

— იცი დანიელ, ამათ კარგათ მოუსაზრავთ, ძრიელ მიამა შენი ნახვა... იცი რა... შენ ერთი ბოდიში მოიმთხოვე დიასახლისთან, ნება დამრთონ ჩემი ხურჯინიც გავხსნა .. იცი რა დანიელ, მოდი მაჰმადის გამოჯავრებული ჯერ თითო გადავკრათ და მაშინ უფრო ქეიფზე მოხვალ...

— კარგია... რათ ირჯებით... ღმერთმა გადღერგძელოს კნიაზ, მშვიდობით გამგზავროთ...

— შენც გაგიმარჯოს ჩემო დანიელ... მაგრამ იცი რა სწორე გითხრა შენი სახის მეტყველება, ეგ თოვლივით თეთრი წვერ-ულვაში გამხელს რო შენ უნდა ნაკითხი კაცი იყო... სწორეთ მოსე წინასწარმეტყველს ჰგევხარ...

— არა ბატონო, მე მართალია ხახამი-კი ვარ, მაგრამ იმათთან რა შესადარებელი ვარ. მამაჩემი ახალციხიდან გადასახლებულა აზრუმს, იქ ვაჭრობა ცოტა კარგად ვერ წაუვიდა და ახლა მე ისევ აქაურობას დავუბრუნდი. არტაანში ვხახმობ.— ნათქვამია „სადაც სარჩო არისო, იქ ურიაც არისო“.

— ესე იგი შენ სომხურ ანდაზას იმეორებ, დანიელ: „ურდეღ ჰაც, ენდეღ კაც“. აბა ერთი, დანიელ, ამ მასპინძლებსაც შევთავაზოთ კონიაკი... რა უშავს, ეს ხო ღვინო არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ე... კნიაზო და, ღმერთი გადღეგრძელებდეს, ერთი თქვენი სახელი გვიბრძანეთ...

— არა დანიელ, კნიაზს ნუ მეძახი, უჩემოთაც. მადლობა ალახს, ბევრნი არიან .. ჩემი თუ გეკითხება მე ხეთი ვარ, ხეთელი.

— მცხეთელი ბატონო?..

— არ ვიცი... იქნება მართლაც, მას ჟამსა შინა, თქვენი პალესტინიდამ ხ ე თ ე ბ ი იმ ალაგს დასახლდენ, სადაც მტკვარი არაგვს ერთვის!.. მაგრამ არც იმ ზემო და ქვემო ხეთიდან ვარ გურიაში რო სოფლებია. ხედავ დანიელ, რა კარგი ვახშამი გაგვიმართეს მასპინძლებმა... აბა კონიაკზე როგორა ხარ...

— მადლობ ბატონო... მაგრამ ე თუ უკაცრაოდ არ გახლდებით კნ... ბატონო აქეთკენ მაინც რისთვის გარჯილხართ?.. რათ დაგღამებიათ...

— მაგის პასუხათ იცი რას გეტყვი, დანიელ... მოდი და ხათრის გულისთვის ერთად წავიდეთ მ ა რ ჯ ნ ი ს წყაროს სანახავათ... მაგრამ ჯერ მზე, მერე მარჯნის წყაროო... შენ გინახავს აქ მზის ამოსვლა?.. იცი ზედ მთის წვერზედ უნდა ავიდეთ... მარჯან-სუც ხო გაგიგია...

— ე მარჯან სუ როგორ არ ვიცი, მტკვრის სათავეა, მაგრამ შე დალოცვილო და მზის სანახავათ იქ რო არ ავიდეთ, განა აქ კი მზე არ ამოვა...

— არა ჩემო დანიელ... შენ ერთი გაისარჯე, უბძანე ჩემ ქურთს ქ ა რ ა ვ ა ნ-ყ რ ა ნ ი ამოვიდეს თუ არა, მაშინვე გამაღვიძოს,—მზის ამოსვლამდე უნდა ზედ მთის მწვერვალს მოვეჭცეთ... მაშ, შენ ჯერ არ გინახავს, დანიელ, მზის ამოსვლის დიდებული სურათი?!.

— ღმერთმანი ბატონო, სჯობს ამაღამ ძილი არ გაიტეხოთ და დღისით, მზისით ყველაფერს მადლი აქვს...

— არა, დანიელ ხათრს ნუ გამიტეხავ... მერწმუნე რო არ ინანებ!..

— მაშ ღამე ნებისა, ბატონო! ე მაგას ყველაფერს ავასრულებთ, მაგრამ რჯულის მადლმა რო დაიღლებით!..

ი. ალხაზიშვილი.

ნიკო ღოღობერიძის ხსოვნას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამერიკის და ევროპის ჩვეულება ცოტ-ცოტა ჩვენშიაც შემოდის და ამ ბოლო დროს ჩვენმა სამშობლოს შვილებმაც თავი იჩინეს და თავიანთი ნაშრომნაღვაწი შეაქვთ ჩვენ ტაძარში—წერა-კითხვის და საზოგადოთ განათლების გასავრცელებლათ.

26 ქრისტიშობისთვეს, თბილისის ერთ სასტუმროში უეცრათ გარდაიცვალა ყველასაგან პატივდამსახურებული ნიკო ღოღობერიძე. მან გაათავა თუ არა უნივერსიტეტი ჩამოვიდა სამშობლოში და სხვა-და-სხვა უფრო საპედაგოგიო დარგებში სვინიდისიერათ და პირ-ნათლათ მსახურობდა ბ არას დროს არ დაჰვიწყებია თავის სამშობლო ქვეყნის საქმეები. ყოველ თვის მხურვალე მონაწილეობას იღებდა, როგორც ქართული შრიფტის გასაუმჯობესებელ კომისიაში, ისეც ქართულ სტამბის და „დროების“ დაარსებაში. სადაც-კი ხელი გაუწვდებოდა—შრომით თუ ფულით დახმარებას უწევდა ყველას. ბოლოს მან მოჰკიდა ხელი შავი-ქვის მრეწველობას, ამით ბევრ ჩვენ ყმაწვილებს მიეცათ საშუალება ემუშავნათ. სხვათა შორის ეგნატე ნინოშვილს (ინგოროყვას). მაგრამ რთულმა საქმემ, თუ სხვა-და-სხვა მიზეზებმა ააღებინეს მას ხელი და მაშინ, (როგორც შევიტყეთ), მან 60,000 მანეთი ანდერძით ჩვენ ქართულ საქმეებს შესწირა. რაკაკვირველია მას შეეძლო რომ ცუდ-უბრალოთ გაეფლანგა ეს ფული. მაგრამ ის ძალიან ზომიერათ ცხოვრობდა და ამითი სწორეთ სამაგალითო არის ჩვენი ახალი თაობისათვის.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის-მოწერა 1912 წლისათვის.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1912 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება

(კვირაობით)

პრემიად 1912 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ გრდემელი

ქართულ სიტყვა-კაზმულ საზოგადოების კრებულის პირველი ტომი,

რომელიც „სახალხო გაზეთის“ რედაქციამ სრულ საკუთრებად შეიძინა.

კრებული „გრდემლი“ დაახლოვებით 500 გვერდიანი იქნება, იბეჭდება და ხელის-მომწერთ იანვარშივე დაურიგდება.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8.50	8	7.50	6.75	6	5.25	4.50	3.75	3.	2.25	1.50	.75

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე **40 კაპ.**

დანარჩენ შეხვედებში უფასო.

ექვსი შაური უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს კრებული „გრდემლი“ მიიღოს ფოსტით. ქუთაისისა, ბათომისა, სოხუმისა, ფოთისა, გორისა და თელავის ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიას ადგილობრივ აგენტთაგან.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილოგით!

მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის მოწერისათანავე 3 მ.; 1 მარტამდის 2 მ.; 1 მაისამდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1912 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **„სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში,** (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).

2) **ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში.**

3) **ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“. П. Ящ. 190.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯეჯილი

საუმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი.

ოცდა მესამე წელიწადი.

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის

გამოვა თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა, პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში ეღირება **4** მან., ქალაქ გარეთ (გაგზავნით) **5** მან. ნახევარი წლით **3** მან., ცალკე ნომერი **40** კაპ. ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ:

ქუთაისში—ისიდორე კვიცარიძეს.
ბაქოში - ქალ. მართა კვიტაშვილს.
მიხაილოვში—ვლად. ჩიქოვანს.
გორში—კნ. თამარა თარხნიშვილს.
სამტრედიაში—რაჟდენ ნანეიშვილს.
თელავში—კნ. ნ. ჩოლოყაშვილს.
სილნაღში—კნ. ნ. ანდრონიკაშვილს.
ჭიათურაში ქალ. ჯაფარიძეს და —ნიკო წუწუნავას.
ბათუმში—მიხეილ კალანდაძეს.

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузынскаго дѣтскаго журнала „Джеджили"

რედ.—გამომცემელი **ან. თუმანიშვილი** წერეთლისა.

Открыта подписка на 1912 годъ

НА ГАЗЕТУ

„Закавказская Рѣчь"

Подписная цѣна

Съ доставкой на домъ:	Въ Тифлисѣ.	Въ провинціи.
На годъ	6 руб. — коп.	8 руб — коп.
„ полгода	3 руб. 50 коп.	4 руб. 50 коп.
„ 3 мѣсяца	2 руб. — коп.	2 руб. 25 коп.
„ 1 мѣсяцъ	— 75 коп.	— 75 коп.

Отдѣльный номеръ 5 коп.

АДРЕСЪ: Тифлисъ, реоакція газ. „Закавказская Рѣчь", Дворцовая ул. д. Сараджева.

Для телеграммъ: Тифлисъ, „Закавказская Рѣчь".

Редакторъ **кн. Г. М. Палавандовъ.**

Издатель **Д. З. Горделадзе.**